# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომრი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილი.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 11 კვირა ღვინობისთვის 12 ფასი 5 მან. წელიწადი მეშვიდე გამოცემისა




**გენერალი ილ. ოდიშელიძე**

ცნობილი სამხედრო მოღვაწე, ნიჭიერი და მცოდნე მხედარი, რესპუბლიკის სხვადასხვა დავალებათა დიდის უნარით აღმასრულებელი. გასულ თვეს თბილისში ვერის დაღმართზე გენერ. ბარათოვთან ერთად ავტომობილით მგზავრობის დროს ყუმბარით დასჭრეს. ამ ჟამად უკეთაა.



**გიორგი იოსელიანი—-გ. წყალტუბელი**

დამსახურებული მასწავლებელ-მოღვაწე, მწერალი და სახელმძღვანელოების შემდგენელი, გარდაიცვალა ამა 1919 წ. ენკენისთვეს ჩაშურში.

# ხელოვნების ტაძრები

ჩვენს, წარმართობაში ჩაფლულ, წინაპრებს მესამე საუკუნიდან მოევლინა ახალი სჯულის მოციქული ნინო, რომელმაც ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებასთან ერთად ამ ახალი სარწმუნოების შესაბამი ტაძრების აშენებაც უკარნახა.

ეს ტაძრები ჩვენი ერის სულიერი მსაზრდოებელი შეიქმნა, თუმცა ხშირად იგივე ტაძრები შეიქნებოდენ ხოლმე მიზეზნი ჩვენი ქვეყნის უბედურობისა..

ერთსა და იმავე დროს ეს ტაძრები ძმობასაც ჰქადაგებდა, მტრობის მიზეზიც ყოფილა..

მართალია, ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი დღეს გარეგნულად მაინც ეზიარა ევროპიულ კულტურას და სულიერ წყურვილის მოკვლას სხვა მხრივაც ახერხებს, მაგრამ ხალხი ჩვენი ისევე წარმართობაშია, სხვა ჯურის წარმ ართობაში: ჯერ კიდევ ადამიანს თვისი ნამდვილი ხატება ვერ უცვნია, კაცი კაცისთვის მგელია, ბევრ შემთხვევაში სახიერება ღვთისა ჯოჯოხეთის სატანაზედაც უარესია..

და ეს უფრო ნათლად ირკვევა ახლა, ჩვენის სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის და თავისუფლობის ხანაში, — ხალხს, საერთოდ, თითქო ვერც-კი განუცდია ამ ჩვენი დროის დიადი ისტორიული ცვლილება..

მართალია, სწავლა-განათლება დროის განმავლობაში თვისას იქმს, კულტურის წინსვლაც დააწინაურებს ერს, მაგრამ თუ ხელოვნებამ ერში ფესვი არ გაიდგა, თუ თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, მხატვრული მწერლობა და სხ. სასურველ დონეზე არ დადგა, ჩვენი ერი წარმართობას თავს ვერ დააღწევს.

გასული კვირის ნომერში (№ 10) მოვითხოვეთ, დაბა სოფლად წარმოდგენების მართვას დიდი ყურადღება მიჰქცეოდა. დღეს ამას დავსძენთ, რომ საჭიროა საგანგებო კაცი. ხელოვნების მოყვარულ მცოდნე, რომლის მიზანიც უნდა იქმნეს ჭეშმარიტი ხელოვნების პროპაგანდა დაბა-სოფლად, სახელოვნო ტაძრების აგების მოწყობა, ბრძოლა სასცენო ხელოვნების დამამცირებელ მივლენათა წინააღმდეგ, სადაც საჭიროა სათეატრო რიგიანი რეპერტუარის მოწოდება, ნიჭიერ ძალთა საასპარეზოდ გამოწვევა, საერთოდ ერში კულტურულ მუშაობის გაჩაღება პარტიულობის გარეშე და სხ. მართალია დღემდეც კერძო პირნი, კანტი-კუნტად ასრულებდენ ამ საქმეს, ამიერიდან კი ახელმწიფოებრივი გზით უნდა მივეშველნეთ და ხელოვნების გაფურჩქვნა, როგორც გარეგნულად, ისევე შინაარსით მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ..

სასურველია, ეს საქმე ერთის გეგმით სწარმოებდეს და ხელოვნების ტაძრების შინაგანი მოწყობილებაც ერთს გეგმაზე იყოს..

ხელოვნების ამ ტაძრებში ადამიანი იცნობს თავის თავს და მსოფლიოს, ადამიანი ზეკაცობას დაუახლოვდება, კაცი კაცად იქცევა და ხატება ღვთისა ისე აღარ იქნება შებღალული ჩვენის წარმართობის გამო, როგორც დღესაა.

—

ჩვენს დედა ქალაქში სახელოვნო ტაძრის დიდებულ შენობის საძირკვლის განმტკიცებას გვიმზადებს ქართული ლატარიის გამგეობა, ხოლო ამ ტაძარში საღვდელმსახუროდ ქურუმთ გვიწრთვნის გ. ჯაბადარის სასცენო სტუდია.

ამ სტუდიამ შარშან დაიწყო მუშაობა, მაგრამ უფულობამ და ჩვენებურმა ინტრიგანობამ თითქო ფრთები ჩამოაყრევინა.

ხელოვნების სიყვარულით აღგზნებული გული მაინც არ გაუცივდა გ. ჯაბადარს და მის თანამშრომელთ და კვლავ განაახლეს თვისი მუშაობა. სტუდიის ნივთიერი მხრით გაძლოლა იკისრა კოოპერატივთა კავშირმა და სტუდია უკვე გულდინჯად მუშაობს. თუ ნამდვილი ეროვნული თეატრი გვინდა, თავისუფალი ხელოვნების ტაძარი, სამზადისი ამ თავითვე უნდა დავიწყოთ და ყველა ის, ვინც ჩვენის ხელოვნების აყვავებას ხელს შეუწყობს, შთამომავალთაგან უკვდავ სიყვარულს დაიმსახურებს ამიტომ განსაკუთრებით მადლობის ღირსია კოოპერატივთა კავშირი, რომ ჩვენის სცენის აღორძინებას ხელი მოჰკიდა. აგრეთვე აღსანიშნავი და მისაბაძია ის შრომა, რომელსაც ეწევა გ. ჯაბადარი ნამდვილი ქართული სიდინჯით, მოთმინებით და ღრმა რწმენით. დაე, მისმა თანამშრომლებმაც ჩვენი სამშობლოს სცენის განახლების პირველმა მერცხლებმაც გაიორკეცონ სულის ძალა და სწამდეთ, რომ, თუ ბეჯითად იმუშავეს, ბრწყინვალე მომავალი მათია,

**იოსებ იმედაშვილი**

# სამშობლოს მომღერალი

## ცახელი—პარმენ ივანეს-ძე თვალჭრელიძე

ჩვენს პოეზიას ერთი ნაზი მგრძნებარე სიმთაგანი გამოსწყდა.

მარიამობის 31 ნაშუადღ. ქუთაისის ახლო წყალწითელაზე, თვის მამულში სამის ტყვით ვერაგულად მოჰკლეს მგოსანი ცახელი.

ვინ იყო იგი?

ქართული მწერლობის, საზოგადოებრივ გათვითცნობიერების ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, ძველი (მესამოცე წლების] და ახალი თაობის ხიდი.

ცახელი დაიბადა დაახ. 1863 წ. ს ცახს, რაჭის მაზ. შინაური სწავლის შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დაჰყო ერთი წელიწადი, შემდეგ უფროსმა ძმამ ანტონმა, მოზდოკის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელმა, თავისთან გაიწვია. ძმის შემწეობით სამოქალაქო სკოლაში კურსი დაამთავრა, 80-იან წლებში თბილისს ჩამოვიდა. საოსტატო ინსტიტუტში შესასვლელად, მაგრამ ეს განზრახვა ველარ შეასრულა, რადგან იმ დროის ქართველ მწერალთა [ილიას, აკაკის და სხ.] ჯგუფში მოხვდა და მწერლობას მიჰყო ხელი. როცა მისი ძმა ანტონი სტავროპოლის სახალხო სკოლების ინსპექტორად დანიშნეს ხელახლად გაიწვია თვისი ძმა. აქ ძმის დახმარებით დაიმსახურა დაწყებით სკოლის მასწავლებლის ხარისხი და მასწავლებლად გამწესდა ბეშპაგირის სკოლაში. აქაურმა ბუნებამ, რომელსაც ცახელი გაეცნო ნადირობის დროს, გაალვივა მისი სამწერლო შემოქმედება.—ერთის წლის შემდეგ მოსკოვს წავიდა პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამიწათმოქმედო აკადემიაში. მაგრამ მალე მამის სიკვდილის გამო ოჯახს დაუბრუნდა და მეურნეობას მიჰყო ხელი.

ლექსების წერა სკოლაში დაიწყო მაგრამ არავის უჩვენებდა. აშკარა სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა 1884 წ. ან. ღულაძის ჟურ. „ნობათ"—ში.

იგი მაშინ გამოვიდა ჩვენს სამწერლო-საზოგადოებრივ ასპარეზზე, როცა, მისივე სიტყვით რომ ვსთქვათ,

„მაღალ კორდზე დაფენილი
მისცემოდა ძილს სოფელი".

მართლაც, გასული საუკუნის 80—იანი წლები თითქო მძინარეობა-უკაცობის ხანა იყო. ამას სჩიოდა დიდი ილია, როცა სწერდა „მამულო ჩემო, ჩემი სევდა მხოლოდ ის არის, რომ ამდენ ხალხში კაცი არ არის სიტყვა ვანდო, აზრი ჩემი გაუზიაროო", უკაცობითავე გულ—მოკლული ბრწყინვალე აკაკი ჰყიოდა. „გმირებს დაეძებს, უკივის ჩემი დაფი და ნაღარო"...

მათივე მიმდევარი იყო ცახელიც, ნაზი სულის პატრონი და ბუნებით ნიჭიერი, ცახელის ნაწერების მთავარი ძარღვია ძილში ჩაფლულთა გამოღვიძება, საზოგადოებრივ-სამოქალაქო ჰანგთა გავრცელება, დაცემული ქვეყნის აღმადგენელი მოწოდება.

მისი პოეზიის დედა-აზრია სამშობლო ქვეყნის ბუნების გასულდგმულება და მშობელი ხალხის სულისკვეთების გაპიროვნება. ყოველ მის ნაწერში ჩაქსოვილია ღრმა სიყვარული გარემო ბუნებისა, სამშობლო ქვეყნისა და ბედკრულ ადამიანთა მიმართ.

ცახელი ხედავდა, რომ „მტარვალთა ველურის ძალმომრეობით" ჩვენს მამულს „მოსწამვლოდა ცხოვრების წუთი", მტარვალი ფეხქვეშ ჰქელავდა როგორც ჩვენს კაცურ უფლებებს ისე ადამიანობას და გვირჩევდა:

„ნუ დავივიწყებთ მშობელ ქვეყანას, ეროვნებას"
რადგან „კაცობრიობის ფესვია ერიც:
ის ზრდის მსოფლიოს დიდს აზროვნებას
და ვინც ერს უკლავს თავისუფლებას,
კაცობრიობას დიდს აძლევს ვნებას!"..

მხოლოდ მტარვალი იმ დრომდე არ აიღებს ხელს ჩვენს დაჩაგვრასა და ფეხქვეშ გაქელვაზე, ვიდრე ჩვენის ეროვნულ და ადამიანურ უფლებათა მოსაპოებლად თვითონვე არ გამოვიდებთ თავსაო. ამიტომაც მოვიწოდებდა:

„აღვმართოთ დროშა მტარვალთ სამუსრად.
პირს შევეჯახოთ, ვით ბერკეტს გრდემლი;
კაცს დავუბრუნოთ უფლება კაცის,
მოვსწმინდოთ თვალზე ტანჯულ ერს ცრემლი."

ც-ს დაწერილი აქვს სახალხო ლეგენდები, საყმაწვილო და სხვა ლექსები; განმათავისუფლებელ ხანაში [1904-1905] ქალაქის მუშა ხალხს რავდენიმე ნაწარმოები უძღვნა. თანამშრომლობდა გაზ. „ივერია"-ში, „კვალი" ში, „ჯეჯილ"-ში და სხ. ცალკე გამოცემულია: 1, „გურგენ რაინდი", პოემა; 2, „ზარნაშო"-ლეგენდა, 3, „რჩეული ლექსები", 4. „შალვას თავგადასავალი" და სხ. მეტი წილი ჟურნალ-გაზეთებშია განბნეული ანუ ხელნაწერებად. ბოლო ხანში სწერდერთს დიდს პოემას, ფილოსოფიურ შინაარსის ნაწარმოებს, რომლითაც აპირებდა თვისი მწერლობის დაგვირგვინებას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, უვიც ავაზაკის ხელმა ამ ნაწარმოების დასრულება არ აცალა..

ჩვენის ცხოვრების შავბნელმა ძალამ კიდევ მოიქნია ხელი და იმსხვერპლა ის, ვინც მთელი თვისი ლამაზი სული ხარკად უძღვნა ჩვენის ქვეყნის გათვითცნობიერებას, ამაღლებას, გათავისუფლებას..

ნუ თუ ასეთ სიმხეცეს, ასე ველურობას საზღვარი არ ექნება?!

ამბობენ, ვითომც აგრარულ ნიადაგზე მოკლესო, ზოგნი—ვითომ ყაჩაღ მორჩაძის შური იძიესო... ერთის თვის წინად მოუკლეს უფროსი შვილი და მარიამობის 31- კი სამის ტყვიით გასწყვიტეს ის ნაზი სიმი, რომელიც თავის თანამემამულეთა და საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ ტკბილად ჰჟღერდა თითქმის 35 წ.

„ფუი, შენ ბედო თუ მშრომელს
ამ გვარ მწარ ბოლოს უწერდი"!

ვიტყვით ცახელისავე სიტყვით.

თუმცა ცახელს ასეთი „მწარე ბოლო" ჰხვდა, თუმცა იგი კუთვნილებისამებრ ზეიმით არ დაიკრძალა პანთეონში, არამედ ენკენისთვის 4 ჩვეულებრივ მიაბარეს იმ მიწას, სოფ. ცახს, სადაც 56 წლის წინად აახილა თვალი, და სადაც

„მაღალ კორდზე დაფენილი
მისცემია ძილს სოფელი",—მაინც მოვა დრო,

ჩვენი აფორიაქებული ცხოვრება კალაპოტში ჩადგება და ერის მესაიდუმლე, ხალხის პირისუფალ კალმოსანთ ღირსეული ფასი დაედება, მაშინ თვით ცახელის სამარე გარდაიქცევა რაჭის ღირსეულ შვილთა პანთეონად.

ეს დროც მოვა და ქართველი ერი მუდამ კურთხე ით მოიხსენიებს იმას, ვინც ამ ერს უმღერა გაზაფხულის ტკბილი ჰანგები!..

**იოსებ არიმათიელი**

* * *

თვალ-წინ მიწყვია ყვავილთა გროვა:
ის მე მაგონებს ახლო წარსულსა...
ის მე მაგონებს პირველსა სატრფოს
ღვთიებით სავსე ტურფა ასულსა!

—

...და ცრემლებს ვაფრქვევ ყვავილთა ძირებს;
თან მიჯნურობით კვლავ შფოთავს გული!
და მაგონდება ფიცის გატეხი
პირველი სატრფო დღეს დაკარგული!..

**ს.**

# განახლებული სიცოცხლე

### რომანი ქართველ-სომეხთა ომიდან

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 10)

## ცეცხლის რკალში

სომეხთა მესვეურნი რომ თვით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განბნეულნიც-კი დიდის ფახიფუხით მოიწევდენ ჩვენის სამშობლოს გულისკენ თბილისისაკენ, თითქმის მთელი სომხის ხალხი—ცხადლივ თუ მალვით წინადვე ტუჩებს იწლაპუნებდა მომავალი სამხედრო დავლის განაწილებით და მათი სხვა და სხვა ჯგუფნი მხოლოდ ერთს აზრს შესტრფოდენ—დიდის სომხეთის აღდგენას,—ქართველთა სულისკვეთება უფრო ნაირ-ფერადი იყო, ურთიერთისგან განსხვავებული გზით მსვლელი. ქართლოსიანთა მეთაურნი უმთავრესად დედა ქალაქ თბილისში მოკალათებულიყვენ და აქედან სცემდენ ქვეყნის მოწყობის სხვა და სხვა გეგმებს: რუსეთის ბატონობის დროს გაორჭოფებული დიპლომოსანი ინტელიგენცია და შეძლებული ნაწილი ერისა მხოლოდ ერთს საგონებელს იყო მიცემული: ნეტავი თუ დროით მოეღება ბოლო ამ სულის შემხუთავ ''რევოლიუციის გალმავებასო'', მდაბიო ხალხი, იმავე რუსეთის უკუღმართი მოღვაწეობით ისე იყო გონ-დაკარგული, რომ სამშობლოს იდეა თითქო არც კი არსებულიყოს, ხოლო მოწინავე მუშა ხალხი და მისი მესვეური დემოკრატია ფეთქავდა სასიცოცხლო ძარღვივით, მაგრამ ესეც დაქსაქსულად. თითოეულ ჯგუფს საკუთარი გიზეთი დაეარსებინა და ხშირად პირადი ანგარიშ-მისწრაფებებანი სახალხო საეროს სახელით გამოჰქონდათ. და იყო გაუთავებელი განგაში: ნაწილი, განსაკუთრებით მოეროვნულო ჯგუფთა, სომეხთა შემოტევას ნამდვილ ომის დაწყებად აღიარებდა და მთავრობისგან გადაწყვეტილ ნაბიჯების გადადგომას მოითხოვდა, სამაგიეროდ საერთაშორისო დროშის მიმდევარნი სომეხთა ასეთ საქციელს ომის დაწყების მიზეზად არა სთვლიდენ. ამიტომაც იყო ქართველი დემოსი, ეროვნულ იდეას უარჰყოფდა, გარეგნულად მაინც.

ასეთ სულიერ სხვადასხვაობაში გიზგიზებდა ქართველ სომეხთა ომის კოცონი და ქართველ მოწინავე რაზმებს ცეცხლის რკლად ეხვეოდა...

სომეხთა გულისნა დება თანდათან ფრთასა შლიდა. საქართველოს ელჩი ს. მდივანი ერევანში რომ ძმობა-ერთობის აზრის გავრცელებაში იყო გართული, სომხობა საქართველოს შიგნით აქა-იქ აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდა, ხოლო საზღვრებიდან შეუჩერებლივ, ერთის გეგმით ყოველის მხრით წინ მოიწევდა...

ქრისტეშობის 9 უკვე სანაინის მაღლობებზე გამოჩნდენ სომხები და ქართველთა მცირე რიცხოვანს საზღვრის მცველ ჯარს სასტიკი სროლა აუტეხეს, ქართველ ჯარისკაცთათვის ეს სროლა მით უფრო იყო საბედისწერო, რომ მტერი მუსრს ავლებდა დანდობილა ქართველ მეომარს ხოლო ქართველს კი არ შეეძლო მტერზე იერიში მიეტანა და ერთის შეტევით შეკდომოდა ან მისთვის ბოლო მოეღო, რადგან უფროსი უბრძანებდა: საქართველოს მთავრობა-კი მხოლოდ ერთს ცდილობდა—სისხლის ღვრა არ მომხდარიყო, ქართველ—სომეხთა კეთილ-მეზობლობა არ დარღვეულიყო. სომეხთა მოჯანყე სოფლელთა მალე სომეხთა გაწვთნილი ჯარი წამოეშველა გენ. ტერ-ნიკოლოსოვის მთავარ სარდლობითა და სანაინის მაღლობებზე გადმომდგარ სომეხთა მოქმედება უფრო გამძვინდა: ვეება ტიხები გზისკენ მიდიოდა რახრახით. დაგორებულმა ტინებმა გაჰყლიტეს რავდენიმე ქართველი ჯარის კაცი და რკინის გზის ლიანდაგი ჩახერაგეს.

სანაინის ზემოთ გაურკვეველი, იდუმალი შიშის ზარი რეკდა...

იმ დროს, როცა გენ. ტერ-ნიკოლოსოვის გაწრთვნილი რაზმები სანაინის მწვერვალებს მოადგნენ, დაბლობში, ლიანდაგის მოშორებით შვიდიოდე ქართველი ჯარის კაცი ერთის აფიცრით ტინს ამოფარებოდა. ეს რაზმი მტერს ვერც ესროდა, ვერც საფარიდან გამოსულიყო რო მაღლობზე გადმომდგართ არ შეენიშნათ.

ირგვლივ მიდამო ჩამოთოვლილი იყო, თითქმის ორას ნაბიჯზე სადგურთან ხის შენობა იდგა, სადაც გენ. წულიკიძე და რავდენიმე ჯარის კაცი იყო შეფარებული. რაზმები ურთიერთს მოსწყდენ და თბილისიდან წუთით წუთს ელოდენ ბრძანებასა და დამხმარე ძალას, მაგრამ მომხმარე ძალა და ბრძანება არსადა სჩანდა. ერთად ერთი ჯავშნოსანი № 1-„რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ლ ი'' მიმოქროდა ლიანდაგზე და მისი მოგერიებითი სროლაც მიზანს ვერ აღწევდა. მთავარ საადარაჯოს მოწყვეტილი რაზმი ეს მეორე დღეა ტინის ქვეშ იყო შემწყვდეული, დამხსნელთა მოლოდინში. სიცივის, სიმშილისა და უძილობისაგან ჯარისკაცთ ადამიანის იერი აღარ ჰქონდათ,—ერთად ერთი თავდაცვისა და შურის გების გრძნობა იმაგრებდა მათ ფეხზე: აცაა ჩვენც შეგვეძლება მტერს პირისპირ შევხვდეთ და მაშინ ნახავს, რა ბიჭებთანაც ჰქონია საქმეო. ამ ფიქრში იყვნენ, რომ რაზმის უფროსმა ოფიცერმა უცაბედათ წამოიძახა:

—ჩვენმა მთავრობამ გაგვყიდა, უეჭველად გაგვყიდა!.. თორემ სად გაგონილა ასე უპატრონოდ მიტოვება ხალხისა,—გვხოცავდენ, შენ-კი არ შეგეძლოს პასუხის გაცემა. სად არის მამულის ღირსების დაცვა?.. ფუი, ამისთანა ნაძრახ სიცოცხლეს!—წარმოსთქვა და უცებ რევოლვერმა იჭექა. ნაგანის ტყვიამ ოფიცერს კეფა გადააცალა.—

—ვაჰ, ბატონო, ეგ რა ქენი?—წამოიძახა ერთმა ჯარისკაცმა, მაგრამ ველარაფერი უშველა და წარმოსთქვა:

გაბრაზებულმა თითონ დაიცა რევოლვერი!

შემკრთალი ჯარისკაცნი თავისდა უნებლიეთ განზე გახტნენ.—ეს შენიშნა მაღლობიდან მოდარაჯებულმა, ჩასაფრებულმა მტერმა—აჰა, გვესვრიანო, ეგონა, და ზევიდან ტინის ქვების დაგორებასთან ერთად ტყვიაც დააყარა. შვიდივე მხ დარი ტინის ქვამ გაიტანა. თავმოყვარეობა შეურაცხყოფილი მამული შვილ ოფიცრის ვინაობა-კი ვერავინ შეიტყო, ისე გაჰქრა ამიერ სოფლით.

გენ. წულიკიძემ, რაკი თვალ და თვალ დაინახა სომხები ნამდვილად გვეომებიანო, მეორე ჯავშნოსანი მატარებელიც გაიწვია ჩახერგილ ლიანდაგის გასასუფთეებლად და ფეხოსან მცირე ჯარის რაზმთა ზურგის გასამაგრებლად.

ქრისტეშობის 10 სანაინისკენ გავიდა ჯავშნოსანი № 3 „თავისუფლების სიმაგრე' ამბაკო მეგრელაძის ხელმძღვანელობით და გრიგოლ კვინიკაძის ზედამხედველობით.



გრ. კვინიკაძე

ეს გრ. კვინიკაძე, ადიუტანტი ვ. გოგუაძისა, ერთი იმ მეომართაგანია, რომელთაც სამსახურში მტკიცე წესი საღვთო მოვალეობად მიაჩნიათ და პატარა საქმის ბეჯითი შესრულებით დიდს საქმეს აგვირგვინებენ. მისი მოვალეობა იყო სანაინამდე გზა გაეწმინდა და მტრისგან დაეფარნა. ,,თავისუფლების სიმაგრე" სანაინს ავიდა თუ არა, მტერმა სროლა აუტეხა, მაგრამ იგი წარბ-

შეუხრელად სდარაჯობდა აირუმიდან სანაინამდე, რომ მტერს ლიანდაგი არ აეყარნა და მტრის მოძრაობისათვის თვალყური ედევნებინა. სომხები დაუნდობლად იქცეოდენ. გზად თითოეულ ბავშვსა და ქალსაც კი არ აჭაჭანებდენ. ვიწრო ხეობაში მომწყვდეული ქართველთა მცირე რაზმი და ჯავშნოსნი კარგად ამჩნევდენ, სომხები მაღლა კლდეებზე უზარმაზარ ქვებს ნაღმებით როგორ აფეთქებდენ ძირ' დასაგორებლად.

მტერმა არა ერთი და ორი ქართველი მეომარი იმსხვერპლა: ქართველთა სადარაჯოებს ზევიდან ქვეით დაჰყურებდა და დიდის ვერაგობით მუსრავდა. ქართველი სარდლობა ცდილობდა მოკლულ—დაჭრილები გამოეტანა, თეთრი დროშითაც-კი გავიდნენ, მაგრამ სომხებმა აქაც ვერაგული სიმძაფრე გამოიჩინეს, მეომრის საერთაშორისო უფლებაცკი არ დაიცეს და ქართველთ ნება არ მისცეს დაჭრილები გამოეტანათ.

სალამოთი სომეხთა მოწინავე რაზმები დაბლა ჩამოვიდნენ ჰოკლულთა დასაცარცვავად და მცირე ფაჩუნზედაც კი სასტიკ სროლას ასტეხდენ ხოლმე. ამ დროს არც ჩვენი ჯავშნოსანი იყო უსაქმოთ: ტყვიის მფრქვეველი მაღლა-ბანზე აეტანა და აქედან სთიბავდა დაჭრილ გარდაცვლილ მეომართა მძარცველ-შემპილწველთ.

დღისით მომქმედ ადამიანთა ველურობა ღამის სიბნელემ დაჰფარა, ჯანყ-ბურუსმა წანაშა.

ქრისტეშობის ი ერთმეტმა კიდევ ერთხელ გაატიტვლა ადამიანის სულის სიბნელე და გამოაჩინა მისი სიმხეცე. ამ დღეს გამოჩნდა ვერაგ, უნამუსო მტრის საზიზღრობა: თოვლით გადაპენტილ ფერდობზე მოწმენდილ დილით გენ. წულუკიძემ ჭოგრით გახედა ბრძოლის ველს, ფერდობს, სადაც საზარელი სურათი დაეხატა, სურათი, რომლის მზგავსი არც ერთ ომში არ შეხვედროდა,—ეს იყო აქა-იქ დაყრილი ნათრევ ნაწამები გვამები მეომართა... გენერალმა თვალთ არ დაუჯერა და პორუჩიკი კორძაია გაგზავნა, რომ ყოველივე ეს შეემოწმებინა. პორუჩ. კორძაიამ დაჰხედა და რა ნახა,—ღამით სომხებს დაეტიტვლებინათ და შეეპილწნათ მუხანათურ თავდასხმაში დახოცილი ქართველი ოფიცერ ჯარისკაცნი. აგერა ტიტლიკანა მეომარი, რომელსაც სასირცხო ასო მოჭრილი აქვს და პირში სჩრია; აგერ ლერწამ-ტანის ვაჟკაცი ახალად წვერ-ულვაშ აკოკრებული, ქოჩორ-გადავარცხნილი, ბაგეზე ღიმ-გაუქრობელი,—ვინ იცის რა წუთებში აღმოხდა სული, მკერდ გაპობილია, ეტყობა—უკვე გაციებულისათვის დაუციათ ხან ჯალი; აგერ ჩასხმული ბიჭი, ვეფხვს რომ ჰგავს, კეფაგახეთქილი, მკლავებ-შემოკაწრული, სახსრებში გადაღრღნილი; აგერ ცხვირ-მოჭრილები, მთლად გატიტვლებულნი; აგერ შუბით თვალებ ჩათხრილნი, აგერ ასოასო აკუწული...

და ყოველივე ეს მოიმოქმედა ადამიანის ხელმა,—სომხეთის მოწინავე ჯარმა, ბრბოს სახელით მონათლულ რომელსაც ხელმძღვანელობდენ სომხის ცნობილნი და რევოლიუციონერებად წოდებულნი ბელადნი..

დახედა მხედარმა ერთი ღრმად ამოიგმინა, კბილები გააკრაჭუნა და ბრაზმორევით ესლა წარმოსთქვა: „ლამ, ასე იყოს თუ შეგრჩათ!''

ამავე ქრისტეშობის 11 სომხებმა ალავერდსა და სანაინს შორის ლიანდაგი აჰყარეს. გრ. კვინიკაძის ხელმძღვანელობით ჯვშნოსანმა„ თავისუფლების სიმაგრემ'' დილიდანვე დაიწყო გზის გაწმენდა და თუმცა მტერი სამის მხრით ებრძოდა ''თავისუფლების სიმაგრე'' სანაინისკენ მიიწევდა ამ დროს მოკლეს გვარდიელი მაღრაძე, მაგრამ ამ უბედურებს სამშობლოისი და რევოლიუციის გმირები როდი შეუშინდებია. მზის ჩასვლისას ორი ჯვშნოსანი—სანაინის მხრით №1 ვალ. ხუნგიას ხელმძღვანელობით, ხოლო აქედან—გრ. კვინიკაძის ხედამხედველობით ერთმანეთისკენ გაემართნენ შესაერთებლად, მაგრამ ვერ მოახერხეს,- მტერს ძალზე დაეზიანებინა გზა! გენ. წულუკიძე პირდაპირ ცეცხლში ემწყვდეოდა. საჭირო იყო მისი გამოყვანა. როცა დღემ დალალკავები ჩამოიფინა, არემარე სიბნელემ მოიცვა, გრ. კვინიკაძის მოხერხებით გენ. წულუკიძე სანაინიდან სამშვიდობოს გამოვიდა.

გენ. წულუკიძე რომ თავის მცირე რიცხოვან რაზმით მტერს უმკლავდებოდა და აჩერებდა რათა რესპუბლიკისთვის დრო მიეცა ჯარის შესაკრებად და უფრო კიდევ ალავერდს იცავდა, იმ ალავერდს, სადაც უწინ ერეკლე მეფის ზარაფხანა—მალანი იყო, ახლა-კი სპილენძის ქარხანაა, ვ. გოგვაძემ განკარგულება გასცა—წამხდარი გზა აღადგინეთ როგორმეო და თითონ-კი თბილისს გამოქანდა მთავრობასთან მდგომარეობის პირისპირ ასახსნელად.

საქართველოს მოსაპირე რაზმი თუ მოულოდნელ მტრისგან ტყვიით ჰქრებოდა, ჩვენი ელჩი ს. მდივანი ერევნიდან ქრისტეშობის 8 გამოსული, შუა გზაზე მატარებელში მომწყვდეული თბილისს მისვლის გაუთავებელი ლოდინით დნებოდა. მართალია, იგი მარტო არ იყო: ერევნიდან გამოსულს თან ახლდა 14 კაცისაგან შემდგარი აგრეთ წოდებული სომხეთის დელაგაცია, ვითომ და საქართველოს მთავრობასთან სადაო საკითხების მშვიდობიანის გზით გასათვებლად. დელეგაციაში სომეხთა ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და „დაშნაკციუთიუნის'' წევრნი იყვნენ: სომეხთ პარლამენტისმიერ არჩეული ა. ა. აღარონიანი, მ. ი. პაპაჯნოვი, ტ. ს. ბირზოიანი' სურსათის მინისტრი გ. ი. გულიანი და სხ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს დელეგაცია უფრო საქართველოს ელჩისა და მთავრობის თვალის ასახვევად იყო არჩეული, რომ სომეხთა იდუმალი მისწრაფებანი დრომდე არ გამოაშკარავებულიყო. ს. მდივანმა, დელეგაციის თანხლებით. ქრისტეშობისთვის 10 ძლივს გუმბრს უწია. აქ დელეგაციას წარუდგა ყარაქლისის სამხედრო ოლქის უფროსი ჰდრო და ვითომდა დიდის საიდუმლოებით, თითქმის ცრემლმორეულმა, მოკატუნებით საქართველოს ელჩს ს. მდივანს შესჩივლა:

—ღმერთიც გიშველით რო მობრძანდით და თქვენივე თვალით ნახავთ, რა საზიზღრობას სჩადიან ქართველი ჯარის კაცები. მათმა ძალ-მომრეობამ აალელვა უზუნლიარის და მის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებელნი. მოკლეს უზუნლიარის კომისრის თანაშემწე, აჰყარეს რკინის გზის ლიანდაგი, დაიწყეს ხალხის ძარცვა და ტელეგრაფის მავთული გადასჭრეს, რომ ხალხმა მთავრობას საჩივარი არ მისცესო... და რომელი ერთი ესთქვა?! ერთის სიტყვით, დიდათ პატივცემულო სიმონ გურგენიჩ თქვენი ჯარის რაზმელები ჯარის კაცები კი არა, გულწრფელად რო მოგახსენოთ, უკაცრაული პასუხია, ნამდვილი შანტაჟისტები არიან, ყაჩაღები, დაწცემები!—მოახსენა ჰდრომ ვითომ და ნამდვილად შეურაცყოფილმა, საცოდავი თავ მოკატუნებით, შემდეგ დაუმატა: უმორჩილესათ გთხოვთ, უბრძანოთ გენ. წულიკიძეს. მოსპოს თავის ჯარისკაცთა ძალმომარეობა, უსამართლობანი ..

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ε/3

# ორსული კოცნა

უძღვნი ჯ.-ს.

1

მოდი, ვიდრე ახალგაზრდა და კარგი ვარ! მოდი, მოდი, მინამ თვალების ცეცხლი დასწვავს შენს ატმის ფერ ლოყებს და სველი ბაგე დაადნობს შენს მოდუდუნე ტუჩებს, თეთრ მონოზან კბილების მცველად მდგარს! მოდი ვიდრე ჩემი ქაბუკი ღიმილი მომხიბვლელია და სულის დამავიწყარი!..

2

ხომ ვიცი, რომ საფლავის კარზე მდებარეს დამიტირებ და შენი თვალის წინწკალი დაეცემა ჩემ სიკვდილის ფერ ლოყებს, თეთრი კოცნა მოჰხვდება ჩემ ჩუმ ბაგეს და შენი თმის ნიაღვარი ჩამოიქცევა ჩემს უსიცოცხლო მკერდზედ!..

3

შენ ხომ ღვთაება არ ხარ, რომ შენში აღგზნებულს ტრფობის ცეცხლს სული და ხორცი არ შესწირო მსხვერპლად? შენ ხომ მთვარე არ ხარ, სხვას გაუნათო ტრფობის სხივებით და თვით კი მარად ჩაბნელებული იყო?!

4

ხომ ვიცი, რომ შენც ქვეყნის შვილი ხარ, იმავ გრძნობებით, რომელიც ითხოვს ნავარდს, თარეშს, ხომ ვიცი, შენც გსურს ტრფობის წამება მთვარიან ღამეს, სატრფოს გულში ჩაკრულს, სიყვარულის ბოდვის მოსმენით დაღლილს და ტანის რხევით დამტკბარს, სანეტარო სუნთქვით და ამბორის დუმილით გაწამებულს? ხომ ვიცი, შენც გრწამს თვალების ზღაპარი და ღიმილის უკვდავება?! მაშ მოდი, მინამ ახალგაზრდა და კარგი ვარ, მოდი, ვიდრე თვალების ცეცხლი დასწვავს შენს ატმის ფერ ლოყებს, მოდი!..

5

ხომ იცი როგორ გავიცანით ერთმანეთი! ხომ გახსოვს ჩვენი თვალები შორით როგორ მიესალმენ ერთმანერთს და.. გაშტერდნენ?!. მათ გაიგეს ჩვენი გულის ზრახვანი, მათ გაგვაცნეს ჩვენ, მაგრამ მაინც ვერ მოვსულვარ შენთან ახლოს, რათგან „უცნობნი“ ვართ! ჩვენი თვალები კი იცნობენ ერთმანერთს.

მე არ ვიცი ჩემი თვალები რას გიამბობს, ვიცი მხოლოდ როგორ მიყურებს შენი თვალები, რას ვხედავ მათ გაშტერებაში. ღრმა, ბნელ, ეშხით სავსე თვალებში ვხედავ გარდამავლობის სიმწუხარეს, ახალგაზრდობის ნეტარებას ,ყველაფერს, ყველაფერს!.. ოჰ, შენი თვალები!

6

შენმა ეკალ წამწამებმა და ხელოვნურად დაწნულ შავ კულულებმა მითხრეს, რომ გეზიზღება ქვეყანა, გეჯავრება ადამიანები, რომლებშიაც ერთმა უნდა მოსპოს შენი ახალგაზრდობის სიქორფე, უნდა დააჭკნოს შენი ღიმილი, ბიწურის კოცნით უნდა დაასამაროს შენი თვალები, სიკვდილის მოგონებით უნდა გაგიმწაროს ახალგაზრდობა! შენ კი არ გსურს სიკვდილი, არ გსურს სიბერე... შენ გინდა მარად ასეთი ტურფა იყო... და მეც დაუჯერე შენ ეკალ წამწამთ და ხელოვნურად დაწნულს შავ კულულებს...

7

მე არ მინდოდა შენი შებღალვა ჩემი სურვილით. მე არ მინდოდა შენი შეხება ჩემი ადამიანურის გრძნობით და ვინატრე:

—ოჰ, რატომ არ ძალ-მიძს მხოლოდ კოცნით შევეხო შენს ტუჩებს და ვიგრძნოთ ის, რასაც გრძნობს ქალ-ვაჟი ვნების ძაფებით შეკრულ-შებოჭვილი·

ოჰ, რატომ არ ძალ-მიძს, რომ ჩემმა მხოლოდ ერთმა კოცნამ დაგაორსულოს და მით უარვჰყოთ ის ბუნების წესი, რომელიც ღმერთებს მოუგონიათ მომავალ თაობის გაჩენისათვის, ოჰ, ორსულო კოცნავ! ოჰ, კოცნით ორსულო!.

8

...მაგრამ აკოკრებულმა გულ მკერდმა, დომინოს ქსოვილით დაფარულმა, ჟინიანი თვალებით გამომიჟღავნა შენი საიდუმლო: მითხრა, რომ იტანჯები და ადამიანთ შორის დაღებულს, შენცა გწვავს ვაჟის სურვილი ისეთივე მშვენიერისა, როგორც თვით ხარ. ისეთივე კარგისა, როგორც შენი წამწამთ სიტურფეა! და აი მე! მიმიღე!.. მე კარგი ვარ ეხლა! შემდეგ კი არ ვიცი როგორი გავხდები, რას მიზავს დრო... მაგრამ, დრო ხომ შენც წაგართმევს ყველაფერს!?. მაშ მოდი, მოდი, ვიდრე ახალგაზრდა და კარგი ვარ. მოდი მინამ თვალების ცეცხლი დასწვავს შენს ატმის ფერ ლოყებს! ოჰ, ორსულო კოცნავ!.. ოჰ, კოცნით ორსულო!..

არჩილ მაშავარიანი.

* * *

ჭუჭურად შლილი ჩემი ყვავილი
ოჰ, სევდის ალით ცახცახებს, სჭკნება
და ჩემ ბუჩქნარ ბაღს შავი აჩრდილი
თავს დაფარფატებს, უდროოდ ხმება...

ამ დროს მე ბედკრულს არვინ მიბრალებს,
არც მეგობარი, სატრფო გულისა,
მხოლოდ ყორანი თავს დამტრიალებს
,,მსხვერპლი ხარ, მსხვერპლი სიყვარულისა‘‘.

ჭუჭურად შლილი ჩემი ყვავილი
ოჰ, სევდის ალით ცახცახებს, სჭკნება.
და ჩემ ბუჩქნარ ბაღს შავი აჩრდილი
თავს დაფარფატებს, უდროო ხმება..დ

ანტუშ

## წერილები ხელოვნებაზე

1. სამუსიკო საზოგადოების ახალმა გამგეობამ დიდი ენერგია გამოიჩინა. კოოპერატივთა კავშირის დახმარებით მოაწყო ეროვნულ მომღერალთა გუნდი „კაპელა“ დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც ორმოცამდე ქალ-ვაჟია. კაპელამ უკვე შეისწავლა ეროვნული სიმღერის რეპერტუარი და მოგზაურობს საქართველოს დაბა-ქალაქებში კონცერტების მოსაწყობათ. საზოგადოება ყველგან აღტაცებით ეგებება; დაარსა საოპერო სტუდია ლოტბარ სტოლერმანის ხელმძღვანელობით, მასწავლებლად მოწვეულია გოლდმანი. სტუდიაში მონაწილეობენ: ქალნი: ფაგლენიშვილი, ბეჟანიშვილი, გაბაშიძე, ვაჟნი: ჭუმბურიძე, ლლოიტი, აკოფაშვილი, ღვინიაშვილი, ორჯონიკიძე, იმერლიშვილი, დორდქიფანიძე და სხ. რეპერტუარი — ეროვნული ოპერებია. სეზონი გაიხსნება ღვინობისთვის შუა რიცხვებში სახალხო სახლში.

ამ მხრივ მალე გვექნება ახალგაზრდა, მაგრამ ეროვნული საოპერო დასი. თვით სასწავლებელი გადააქვთ ფინანსთა სამინისტროს შენობაში სასურველია გაიხსნას აგრეთვე აღმოსავლეთის, კერძოდ ქართული მუსიკის კლასები, როგორც მაგ. ჩონგურის, ჭიანურის, ფანდურის, თარის და სხ.

რაც შეეხება სახელმწიფო თეატრის სეზონს, ვინც უნდა აიღოს წრეულს იგი, მთავრობამ უნდა დაავალოს, ევროპიულ ოპერების გარდა, ქართულ ოპერების მოწყობაც.

აგრეთვე აღარ უნდა გაიმეოროს შეცდომა, რომ ერთ მსახიობს ეძლეოდეს თექვსმეტი ათასი მანეთი, სხვებს კი შიმშილისაგან გული უღონდებოდესთ სცენაზე. ამნაირი დიდი განსხვავება ჯამაგირებისა მელპომენის ტაძარში და, ისიც დემოკრატიულ ხანაში, არა დემოკრატიულია. ჩვენი დევიზია: გზა თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში.

დრამა და ოპერა, შეუხედავად იმისა, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნის იგი, განთავისუფლებულ უნდა იქმნას სახელმწიფოდა სამოქალაქო გადასახადებისაგან. დროა არქივს ჩააბარდეს ბიუროკრატიისგან დარჩენილი სახსოვარი — ხელოვნებაზე გადასახადი, დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისია უნდა დაფაცურდეს ამ საკითხის გარშემო.

2. ძველის რომის და მხოლოდ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ხელოვნების დაქვეითება იყო. პორნოგრაფიამ, როგორც საბერძნეთში, უმთავრესი ადგილი დაიკავა. ხოლო რადგანაც ხელოვნება არის სახელმძღვანელო ღერძი საზოგადოებისათვის, ამიტომ პორნოგრაფია გადაიქცა ჩვეულებრივ მოვლენად ცხოვრებაშიაც და ამას მოჰყვა, რასაკვირველია, მთელი სახელმწიფოს დაცემა.

რადა შორს მივდივართ, შევხედოთ რუსეთს.

რა სიკეთე მოუტანა ხალხს ფუტურიზმის მიმართულებამ, ჩვენ ვხედავთ.

მაგრამ საქართველოში თუ გაჩნდებოდენ ფუტურისტები, ამას კი არ მოველოდით.

ეს ხელოვნების მაჯლაჯუნ იმითი არ კმაყოფილდებიან, რომ ჩვენ ხალხს გონებას უბნელებენ თავიანთი არა ლიტერატურულ ნაწარმოებით, ჩვენი ხელოვნების ნამდვილ მუშაკთაც თავის დემაგოგიით და ათასნაირ ხრიკებით სთითხნიან, ანუ ხელს უშლიან მუშაობაში, და ერთი მათგანი იქამდე კადნიერდება რომ გამოდის საჯაროდ უცხო საზოგადოების წინაშე და ტალახში სვრის ჩვენის ხელოვნების დარაჯთ.

რათ სდუმს მწერალთა კავშირის თავჯდომარე რეალისტი-პოეტი კ. მაყაშვილი? ნუ თუ აგრე იამა გადმოსროლილი ტალახი?

რატომ აკაკი არ ადგება სამარიდან და ამ სანახაობაზე არ გაიცინებს?..

დამპალ ყანწს რაც უნდა ბევრი უსვან ცისფერი საღებავები, მაინც მით ღვინო არ დაილევის.

ჩვენს ხალხს უყვარს სმა ბუნებრივ, ნამდვილ ყანწებით.

სვ. წერეთელი

## ხალხის ერთგული შვილი

შენიშნულია, რომ განსაკუთრებულ პირობათა გამო ჩვენი ქვეყნის თათრობა კულტურულად უფრო ჩამორჩენილი. მათ შორის სწავლა განათლებას ჯერ კიდევ ისე განზე არ გაუდგავს ფესვები. მართალია, ამათაც ჰყავთ ინტელიგენცია, მაგრამ ძლიერ მცირე და როდესაც ასეთი ხალხი იძლევა ნამდვილ სახალხო მუშაკს, სანეტარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.



სოინ ყული მამედოვი

ჩვენი ქვეყნის თათართა ერთი მოწინავე მუშაკთაგანია საქართველოს დამფუძნებულ კრების წევრი, სოფ. იორო-მუღანლოს მცხოვრები სოინ ყული მამედ-ოღლი [მამედოვი], რომელიც ოც წელიწადზე მეტია რაც სოც.—დემოკრატიულ პარტიაში მუშაობს და ძლიერ დიდი ამაგიც მიუძღვის როგორც ჩვენი ერთობის ქადაგებაში, ისევე საერთოდ თათართ გაოვითცნობიერებაში. იგია, სხვათა შორის, თათართა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ჰუმეტის ერთი დამაარსებელთაგანი, ქართული ენის კარგი მცოდნეა და ზოგჯერ ქართულ გაზეთებში წერილებსაც ათავსებს. ამ ჟამად არჩეულია იორო-მუღანლოს თემის თავმჯდომარედ და დიდის თავ-გამოდებით ემსახურება თათრების წინ-სვლას და საქართველოს ამაღლებას როგორც ჩვენი ქვეყნის ერთგული შვილი. იქნება 45 წ. ცოლ-შვილის პატრონი, ღარიბი მაგრამ მუდამ საერთო-საზოგადო საქმეზე მზრუნველი ორი კვირის წინად ძლიერი ავადმყოფობა გამოიარა. უსურვოთ დღეგრძელობა ჩვენი ერთობის განმტკიცების საკეთილდღეოდ, თვის თანამერჯულეთა სასიკეთოდ და ცოლშვილის საბედნიეროდ.

ი.

## ნანა*

ცას ვარსკვლავები გადეკრა, თავი ამოჰყო მთვარემ,
გარს შემოიცვა ტყემ ბნელი, ვით დედამ შვილზე მგლოვარემ
ბუნებამ, დღითი დაღლილმა, აწ განსვენება ინება...
დაწყნარდი, ჩემო პატარავ, შენც ტკბილად მიგეძინება.

მისდუმდა ველი და დასდგენ წამები ნეტარებისა,
აღარ გაისმის ჰაერში ჟღივილი ფრინველთ კრებისა
წყნარს ძილში ტკბ-ლის სიზრმებით ყველას მიეცა ლხინება...
შენც გულს დაგიტკბობს სიზმარი, დაწყნარდი, დაგეძინება.

მხოლოდ მჩქეფარე რუს პირზედ რეკავს ბულბულის ტკბილი ხმა,
და მისკენ მიჰქრის დამთვრალი ჩემი გრძნობა და გულის თქმა.
მეც ვიცი მღერა, როს ერთი რამ მადლი მომეფინება..
შესწყვიტე, გვრიტო, ღუღუნი და წყნარად ჩაგეხინება.

შენა ხარ სრული იმედი ბედკრული ბიძა-შენისა,
გზრდი შენის ქვეყნის იმედათ და მცველად დედა ენისა,
უმსხვერპლე თავი სამშობლოს, ტანჯვის ნუ შეგეშინება..
ნუ აჩქარდები, ჯერეთ კი ჩასთვლიმე, ჩაგეძინება,

შენში სდუღს სისხლი მირიული მხურვალე, დაუდეგარი
და ვაჟ-კაცურად კვლავ საქმე გაჰბედე გაუბედარი.
ქვეყნის მოსარჩლეს სამუდმო სახელი შეგეძინება..
დროს მოუცადე, ეხლა კი ჩასთვლიმე, ჩაგეხინება

დროთა სვლა, ჟამთა ტრიალი ფერს უცვლის ჩემსა სახესა,
მტრობა და გროვა მდევნელთა ბევრგან დამიგებს მახესა,
მაგრამ დავაჩენ მაინც კვალს სავლელს გზას ოხერ-ტიალსა..
იძინე, სანამ შეიტყობ ქვეყნის უკუღმა ტრიალსა,

და როს ომ დამ დაბრუნდე მხსნელის სახელით მკობილი,
მამულის გმირთა წინამძღვრად ხელში მძლე დროშა მპყრობილი,
ჩეს საფლავზედა მახარე მტრის მოსვრა, ჩვენი ლხინება
და იმას შემდეგ სამუდმოდ მეც ტკბილად ჩამეძინება.

ცახელი

*) ეს ლექსი 1885 წ. დამზადებული და აწყობილი იყო ჟურნალ ,,ნობათი"-სთვის", მაგრამ ცენზორმა აკრძალა. ავტორმა უძღვნა თვის ძმისწულს—ანტონის შვილს, რომელიც ახლა ქართულ უნივერსიტეტშია პროფესორად. ლექსი გადმოგვცა განსვენებულ მგოსნის ცახელის ძმამ ანტონ თვალჭრელიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნით. ლექსი პირველად იბეჭდება. რედ.

### სოხუმში მიწვეულნი



ნ. ჯავახიშვილი



ვანო ბარველი
სოხუმის სცენის რეჟისორი



შ. საფაროვი
35 წ. სასცენო მუშაკობის გამო.



სამეგრელოს 1-ლი სახალხო გვარდიის ხელმძღვანელნი
არ. ფანცულაიას თავმჯდომარეობით.

## ქუჩისშვილი

ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს, ძველ ძონძებში გახვეული,
უდედ-მამოს, უსაფაროს მწარე ტანჯვით ეწვის გული!.
დამშეული, ხელ-გაწვდილი, ლუკმისათვის ეხვეწება.
მაგრამ მისდა სანუგეშოთ ,,გროში'' ძვირის ემეტება!..

ის ბუზია ყველასათვის, უმნიშვნელო და პატარა,
ის ცხოვრებამ გამორიყა, სიცოცხლითვე ასამარა!..

დედის ძუძუ, დედის მკერდი არ უნახავს არც ერთ დღესა,
ქუჩამ შობა, ქუჩავე ზდის, მისი ნანა იყო კვნესა!..

ქუჩა არის მისი ბინა, ქუჩა არის მისი დედა,
საიდუმლო ქუჩამ იცის, ქუჩამ იცის მისი სევდა!..

დ. ჭანჭათელი.

# ბალერინას

შენ მზე!ს უყვარხარ და გთვლიან კი მთვარის საცოლოდ.
თვით დროც შენდამი შესაყრელად სულ ითვლის წამებს.
შენი ფეხები ორი თეთრი თაგვია მხოლოდ,—
კაბის ქობიდან აცეცებენ ქროლა წამწამებს.

მე შენა გნახე, უცხოელო, მხოლოდ წუხელის,
როს მირზაულში გადაეშვი ნაინატრულად.
ისე გშვენოდა შენ აქნევა ფეხის თუ ხელის,
რომ ჩემი ლექსის მოქნილობა გიმზერდა მტრულად.

მკლავეთა ფენაში ზღვის ქაფივით ხრიზანტემობდა
მკერდ-ამოჭრილი მადერმარქის მსუბუქი კვართი.
ისრად ნასროლი შენი ტანი მიზანს ხვდებოდა,
ლექსს მპირდებოდა შენი ტანის აღმართ დაღმართი.

რა მომეწონე! და სხვა ჩვენში ვინ მეგულება,
რომ შენებრ ცეკვით ქართული, ცეკვით ელოცა;
და მე დავრწმუნდი რომ არსებობს კვლავ ერთგულება:
რომ უცხოელმა შეიყვაროს საქართველოც ა.

ი. გრიშაშვილი

„ავესალომ და ეთერი“ 5 ოქტ. 19 წ.

# გამოძახილი

ფეხ ქვეშ ნურვის ნუ ვეგებით.
გაქრა მონობის ჟამი საზარი,
თავისუფლების მოსაპოებლად
ბრძოლა გვჭირია, ბრძოლა მედგარი!
განა არ კმარა დღემდე ვიყავით,
მუხლ-მოდრეკილი და ქედ მოხრილი?
კმარა მონება ძლიერების წინ
თავისუფლების შევქნათ ძახილი.

კლავდია გაბუნია



სოფრომ მგალობლიშვილი
მისი თხზულებათა გამოცემის გამო

# ამონაკვნესი

მშფოთვარ ზღვის ტალღამ არ შემიბრალა,—
ან და რა იცის მან შებრალების?
ამ ქვეყნის გერი შორს გადამტყორცნა,
გამხადა მსხვერპლი თავის ზვირთების...

როგორც მსხვერპლი ნავი ობოლი,
ტალღებით ნაპირს გადმოგდებული,
ვღზევარ მარტოკა რიყეთ მჭუნვარე,
ხალხთა ბრბოსაგან გაძევებული...

არავინ არის ნუგეშ-მცემელი,
არავინ არის რომ შემიფაროს.
ვისთან მივიდე ან სად წავიდე
ვინ შევითვისო რომ შემითვისოს?..

ზ .გ"ემი

# კუდიანობის მსხვერპლი

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც“. № 9)

ასეთი მოწყალება მოიღო ჩემზე ჩემმა გამჩენმა, ვენაცვალე მის დიდებას (პირჯვარს იწერს) ის ძალიც მომანიჭა რომ ბოროტი ადამიანის გამობრუნებაც ადვილი გახდა ჩემთვის.

მარკოზა. (პირჯვარს ისწერს) ვენაცვალე ღვთაებას, არ ვყავართ სულ მთლად მოძულებული და შენისთანა კაცებს გვაღირსებს ხან და ხან ჩვენ და გასამხნევებლად.

მაია (გულზე ხელს იცემს) სწორედ, სწორედ, დიდი ღვთის განგებაა, ვენაცვალე მის ძლიერებას.

ონისიმე. შენ, ბატონო ვასილ, დიდი ხნის სიცოცხლე გექნება დანიშნული ღვთისაგან, შენისთანა კაცები დიდ-ხანს სძლებენ და ძალიან მაგრებიც არიან. მე ვიცი რამოდენიმე მაგალითი, ცხონებული მამა ჩემისაგანაც გამიგონია ასე.

მარკოზა. კი, კი მართალია მეც ასე გამიგონია.

ვასილი. მართალია ასე იტყვიან, მაგრამ ღვთის ნებაა, როგორც იმას ნებავს ისე იქნება.

### 3

#### იგინივე და ფეფენა

ესმა. (კოცნის მარინეს) შვილო, შვილო მარინე, ვაი შენს დედას, რამ გამოგცვალა შვილო აგრე.

მარკოზა. (ეხვევა მარინეს) რამ გამოგცვალა აგრე უცნაურად შვილო? ავად ხომ არა ხარ?

მარინე. (ტირილით) არა მამა...

მარკოზა. კარგად რომ არა ხარ არ გეტყობა თუ?! მე ჯერ თვალები კი არ ამბია.

ესმა. (ტირილით) შვილო რა იქნა, სად გაქრა შენი წითელი ლოყები. ვინ დამლუპა, ვინ დამიგლახავა შენი თავი...

მარკოზა: (ესმას) კარგი გეყოფა, დედაკაცო! (მიუბრუნდება ქალებს) შეგაწუხეთ, მაგრამ დღემდი არ მცოდნია თუ მართლა ჩემს თავს ამისთანა უბედურება ტრიალობდა. ცუდი ამბავი შეგვემთხვა გვაპატიეთ, ყველაფერი ღვთის ნებაა, ყოველივე სიკეთე მისცეს ღმერთმა ბ-ნ ვასილს, ეს ღვთისნიერი ადამიანი გაისარჯა, ინება ჩვენთან წამობრძანება... თუ ჩემს შვილს მართლა რაიმე კავშირი აქვს ეშმაკებთან ეხლავე გაგვაგებინებს ეს ღვთისნიერი კაცი. (მარინე შიშით შეხედავს მამას, თავისაფარს ჩამოიწევს და თავ ჩაღუნული სდგას ერთს ადგას) ამიერიდგან თქვენ მაწუხებელისაგანაც თავისუფალი იქნებით და ჩვენც თქვენთან სამდურავს ავცილდებით. (ქალების ხმა: მადლობელი გართ, მადლობელი ვართ ღმერთმა დღეგრძელობა მოგცესთ)

მაია. (მარკოზას) სვინდისიერი კაცი ბძანებულხარ... შვილის კაი პატრონი. ღმერთმა გიწინამძღვროს.

მარკოზა. აბა, ბატონო ვასილ, ყოველის ფერი მზადაა შენი ჭირიმე: დროს ნუ დავკარგავთ. (ვასილი მიიტანს სკამს მასთან და მარინესთან ახლოს ჯდება; ქალები ქვემოდ ფეხზედ სდგებიან და გაკვირვებით უყურებენ ვასილს)

ესმა. (გულში ხელს იცემს) შვილო, შვილო, რა დღეს შეესწრო შენი ოხერი დედა..

ვასილი. (ტკბილი ხმით მარინეს) ბიძიკო, შენ გიბრალებენ, ვითომც ქრისტესათვის გეღალატნოს და ეშმაკებს მიკერძოდე... ვითომ მავნებლობასთან და ეშმაკთან კავშირი შეგეკრას და ამის დასამტკიცებლად შენზე ბევრს რამეებს ამბობენ შენი ამას წინად საყვარელი მეზობლები და ამხანაგები.. მართალია თუ არა ყოველივე რაშიაც ბრალს გდებენ? (მარინე ხმას არ იღებს).

მარკოზა. (მარინეს) არ გესმის რომ გკითხავენ?

ესმა. (კოცნის მარინეს) მიეცი შვილო პასუხი, პასუხი გაეცი შვილო. (მარინე გაქვავებული სდგას).

მარკოზა. (გაჯავრებული) არ იცი ბოშო ვინ გკითხამს? უბრალო კაცი ხომ არ გელაპარაკება?. ანგელოზთან ნამუსიანი კაცი ხმას გცემს და შენ რა ღმერთი გიწყრება?!.

ვასილი. მე უშენოდაც კი მივხვდები ყოველივე შენს საქმეს, მარა შენთვის სჯობია შენ თვითონ აღიარო ყოველივე შენი ამბავი. ყველაფერში გამოგვიტყდი და ღმერთი ჩვენი შემქმნელი და მწყალობელი გაპატიებს შენს შეცდომას, მოგიტევებს შენს დანაშაულობას. არა, და არ გამოტყდები, იცოდე საუკუნე წვალება მოგელის ჯოჯოხეთში. ყოველ წვალებაზე უფრო მეტი. ამაში დამერწმუნე მე რომ მართალს გეუბნები თუ კი გამოტყდები როგორც გითხარი ღმერთი გაპატიებს შენს შეცდომილებას და სულს არ წაიწყმენდ, ეშმაკს არ დააპატრონებ მაზე. ხარ კუდიანი თუ არა? გაქვს მათთან რამე კავშირი?

მარინე: (ჩუმათ ტირილით) მაქვს!.

ესმა. (ცკავის ლოყებს იკაწრავს) უიმე, უიმე შვილო მარინე...

მარკოზა: (გაჯავრებული შეუტევს ესმას) ქალო გაჩუმდი, გაჩუმდი, არ გესმის შენ ჰეი, გაჩუმდი გეუბნები (ქალები გულზედ ხელს იცემენ და ერთმანეთს მისჩერებიან გაკვირვებით]

ვასილი: ვინ შეგაცდინა, ვინ გაგაჩვია კუდიანებთან? (მარინე ხმას არ სცემს) მითხარი ვისი ბრალია შენი გაკუდიანობა?

მარინე. ჩემი დედამთილის...

ვასილი. აბა ეხლა მოგვიყევი როგორ შეგაჩვია კუდიანობას შენმა დედამთილმა, თავიდგან მოყევი რას გიშვრებოდა, რას გეუბნებოდა, ან გპირდებოდა რამეს? ჰო? ჰო.

მარინე. [ტირილით] პირველად მსდევნიდა, მცემდა, უბრალოდ ცილსა მწამებდა, მოსვენებას არ მაძლევდა, მიშლიდა სხვებთან ლაპა-

რაკს, ეზოს გადაღმა არ მიშობდა.,. ერთხელ ვენახში დავემალე, დავწევი ჭ‌ულის ძირში, მიმძინებოდა. უეცრად რაღაც შავი უშველებელი დამეტაკა, გამამაღვიძ., წამავლო ხელი და ცაში ამიყვანა ისე მაღლა რომ თავბრუ დამესხა, დაბლა რო გამოვიხედე.. დაძნებდიო მითხრა მან და ჩემი ნება აასრულეო, თორემ ახლავე აქიდგან ხელს გაგიშობ და მიწას დაგახეთქებო, შემეშინდა, ავკანკალდი, უთხარი: კი ბატონო თქვა, აბა გახსოვდეს ეგ შენი სიტყვაო, მე ხუმრობა არ ვიციო; ჩავაჩერდი, ვინ მელაპარაკებოდ მინდოდა გამეგო... იმ 'შავ მოჩვენებაში ჩემი დედამთილი ვიცანი.., მე უფრო შემეშინდა კიდევ და ხვეწნა დაუწყე ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მორჩილი ვიქნებითქვა. არც ხმას გავცემ ვისმეს უშენოდ, არც არსად წავალ შენ დაუკითხავად მეთქი, ოღონდ მიწაზე დამიშვითქვა... ისევ თვალებზედ წამომეფარა რაღაცა, გონება დამიკარგა. აზრზედ რომ მოვედი ისევ იმ ადგილას ვიწევი სადაც მიმძინებოდა.

ვასილი. კიდევ?

მარინე. ნიგოზზე შემომესწრო.

ვასილი. ჰმ! როგორ იყო იყო ეგეც მოყევი?

მარინე. ნიგოზს ვხალავდი,.. უეცრად თვალებზედ წამომეფარა შავად რეტი დამესხა, მეგონა გამოვარდი ეს არი თქვა.. ბრჭალები ჩამასო კაბაში. მაღლა სულ მაღლა ამიყვანა.:. გადმოგაგდებო. აქედგან გისვრიო... ნიგვზის წვერზედ წამოეცობიო, თუ არ შემომიდექიო.. კუდიანი გახდიო.. შემეშინდა. სული შემიხუთდა. მორჩილი ვიქნებითქვა უთხარი.. ნუ მომკლავთქვა შევეხვეწე.

ვასილი. ვინ იყო თუ იცანი, ვინ გელაპარაკებოდა აგრე?

მარინე. ვიცანი.

ვასილი. ვინ იცანი?

მარინე [დედას ტირილით ეხვევა სული მეხუთება) დედა მიშველე, დედა მიშველე გიკვდები დედა.

ესმა. ნუ გეშინია შვილო, ნუ გეშინია შენ დაგენაცვლოს შენი დედა! რა იყო შვილო რა დაგემართა მარინე (თავსაფარს აუწევს და ჭკოვის)

ვასილი. ვინ შეიცანი სთქვი?

მარინე. (სასო მიხდილი) დედამთილი (მკვდარივით მოსხლეტილი უვარდება დედას მუხლებზე)

ესმა. შვილო, მარინე, შვილო, რატომ შენი დედა უწინ არ მოგიკვდა, სანამ ამას დაინახავდა ჩემი დასამსები თვალები. შვილო, შვილო, ჩემო დამტირებელო მარინე.

ონისიმე. (სოფიოს) მოეხმარე ლოგინზედ დააწვინეთ, (ქალები მარინეს ლოგინზე აწვენენ.)

სოფიო [ესმას] ნუ ტირი შენი ჭირიმე ესმა, ღმერთი მოწყალეა კარგად გეყელება შენი მარინე.

თებრო. ეხლა წმინდათ გაიწმინდა...

ზიდასი ძალიან საქმე-კი ქნა ამ დალოცვილმა ადამიანმა.

თებრო, ღვთის კაცია შე დალოცვილო, ვიგინდარა ვინმე ხომ არ არი.

მაია. რასაკვირველია, რასაკვირველია, მარა ამ უბედურს დიდიხნის სიცოცხლე კი არ ექნება.

ზიდასი. შე ქალო სული რომ არ წაუწყმინდეს ის აღარ კმარა, გამოტეხილს რაღა აცოცხლებს, არ გამოეტეხათ უარესი ცოდვა იქნებოდა; იცოცხლებდა-კი მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი, ბოლოს ხომ წაწყმენდილი იქნებოდა მაინც.

მაია. გამოტეხილი კუდიანის სიცოცხლე ვინ გაიგონა, მალე მოკვდება საწყალი [ვასილს) გმადლობ ჩემო ბატონო რომ კუდიანი და მავნე; სული მოაშორე ჩვენს სოფლეს. (თებრო, ზიდასი, მაია და სოფიოც ხელების შლით გადიან).

ვასილი. (მარკოზას) ჩემი მგზავრობის დროც არის მარკოზ, თქვენ აქ დარჩით და მოუარეთ მარინეს ღვთის მადლით და მოწყალებით რადგანაც გამოტყდა არა უშავსრა, ის სოფელი მაინც არ დეეკარგება.

მარკოზა. გმადლობთ, ბატონო ვასილ (ფულს იღებს) მიიღეთ ეს ორი მანეთი გასამრჯელოთ, თქვენი ფეხის ქირათ, მართალია მცირეა მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჩვენი სიღარიბის ამბავი.

ვასილი. ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფული საბოჭავათ კი არ მოუნიჭებია შე კაცო.

მარკოზა. ვეცდები სხვანაირად გემსახურო და ეს დავალება კაცურად გადაგიხადო ჩემო ბატონო.

ონისიმე. (გაიხედავს ფანჯრიდან) ფეფენაც და ნიკაც ეგერ მობრძანდებიან (მარკოზას) თქვენ იმათ თქვენებურად გამოელაპარაკეთ მე კი ბატონ ვასილს პატარაზე გავაცილებ [ვასილი და ონისიმე გადიან].

მარკოზა. [გაიხედავს) მოდიან ჰა, კაი დაგემართოს

ესმა. სახლში არ შემოუშვა მაგ სულ წაწყმენდილი მაგ...

მარინე. (ლოგინიდან წამოდგება) ვინ არის დედა?

ესმა. წყეული შენი დედამთილი შვილო. კაცო მარკოზ, სახლში არ შემოუშვათ თორემ იმ წამში ყანყრატოში ვეცემი...

მარკოზა (გაბოროტებული) მაცა დედაკაცო. შენ შენთვის იყივ სანამარაფერი გითხოა! მეც ეს მინდოდა სადმე მოხერხებულ ადგილას ხელში ჩამეგდო მაგისი თავი და ღმერთი მაგზავნის კიდევაც (მივა ცეცხილს გამოქექავს და ამოაგდებს კერაში ნაგდებ ნალს, მერე ისევ ნაკვერცხლებს წააყრის)

4

შემოდიან ფეფენა და ნიკა.

მარკოზა. (მწარე დაცინვით) მობრძანდი ძა-

ხალო, მობრძანდი... აქამდინაც კი უნდა გენახა შე ქალო, შენ ავადმყოფი რძალი. (ნიკას) შენ ბიჭო არ გეკადრებოდა შენი ცოლის ბნბავი გაგეგო?

ფეფენა. შე დალოცვილო თქვენ ჩვენსა მოგელოდით, ჩვენსა უფრო უპრიანე არ იყო რომ მობძანებულიყავით? ჩვენი სახლი ზღვაზე ხომ არ სდგას? (მიიხედავს მარინესკენ) რა დემართა ასე უცბათ რით გახდა ავათ?

მარკოზა. ნამდვილი ანბავი გინდა რომ გაიგო ხომ?

მარინე. დედა, დედა უთხარი რომ (სცდილობს ზეზე წამოდგომასა მაგრამ ვერ სძლებს).

მარკოზა. (ნიკას) შენ კი ბიჭო გარეთ გადი შენი გასაგონი არ არი ჩვენი ლაპარაკი (ნიკა გადის; მარკოზა კარებს რაზავს, მივ, ფე- (ფენასთან დოინჯებ შემოყრილი და შეჭყეჭირებს) შენ მა კუდიანობამ უყო მაგას ეგ . შენმა კუდიანობამ! ვითომ და არ იცოდე. იმისთვის მოდი რომ მაგის წვალების ყურებით დამტკბარიყავი? მარა სად წამიხვალ ეხლა სად წამიხვალ, (ფეფენა შიშით შეყურებს გამხეცებულ მარკოზას) ვერსად ვერ წამიხვალ ვერსად გესმის თუ არა.

ფეფენა. (გაკვირვებით) ხომ არ გადარეულხარ, არ გადნრეულხარ, ეხლავე კარი გამიღეთ (იწევს კარებისკენ)

მარკოზა. (იჭერს ფეფენას) სად მიხვალ, სად მიხვალ;

ფეფენა გამიშვი ხელი. სულელო, ბიჭო ნიკა, კარი გააღე ახლავე გესმის ბიჭო? (ნიკა აწვება კარებს ისმის მისი ხმა ვერ გაუღე დედა ვერა).

მარკოზა. (ფეფენას ხან იქიდგან წამოკრავს მუჯლუკუნს და ხან აქედან] რატომ მსტანჯავ, რაზე აწვალე შე შეჩვენებულო. აღარ გეყო მაგისი წვალებ. ვერ გაძეხი? შე წყეულო, სული რომ არ წაგაწყმედინე ხორცს რა ერჩი მითხარი?

ფეფენა. (ყვირის) რაებს ამბობ, შე უგნურო, რას სულელობ (მარკოზა ყურს არ უგდებს, იღებს ბაწარს, ესმას დახმარებით შეკრავს ფეფენას და ძირს სდებს] მიშველეთ, მიშველეთ..

მარკოზა. [ესმას] მოიტა აქ ნალი სად წამიხვალ სად წამიხვალ შე კუდიანო, ეხლავე დაგიკარგავ მა შენს ძალას ახლავე მოგრჯულებ მე შენ (ესმას) მალე დედაკაცო (ესმა იღებს ცეცხლიდგან გახურებულს ნალს და აძლევს მარკოზას]

მარინე. (ნალს რომ დაინახავს იკივლებს,) მამა, მამა, რას შობი მამა, მამა შენი ჭირიმე. . მე მომკალი მე...

ესმა. ეხლავე მორჩები, შვილო ეხლავე გვაცალე.

მარინე. (მარკოზას კისერზედ ეხვევა) მამა რატომ მკლავ მამა.

მარკოზა. (გაჯავრებით) მაცალე გეუბნები, მაცალე, დაუდობლავი რავა გადამირჩება ეგ.

ფეფენა. (ყვირის) მიშველეთ, მიშველეთ, მკლავს... (ისმის კარედგან რამოდენიმე ხმა, მარკოზა კარი გააღე, მარკოზა კარი გაღე).

მარკოზა. (მარინეს) მაცალე ბოშო, მაცალე [მარკოზა თავსითავისუფლებს მარინესაგან, იღებს ნალს და ადებს ფეფენას; ფეფენა ხრიალებს და გველივით იკლაკნება] ხედავ ამას ხედავ! აი შენი რჯული, შენი რჯული [ამ დროს კარს ჩამოგლეჯავენ შემოდის ნიკა სამი ოთხი გლეხით, ცოცხალ-მკვდარ მოაშორებენ ფეფენას მარკოზას, ხსნიან ბაწარს და გარეთ გაყავთ.

ესმა: შვილო მრინე, მარინე .. მიშველეთ ქრისტიანი ვინა ხართ მიშველეთ. კვდება·.. მარინე შვილო...

მარკოზა. (ტირილით) ა?!. მოკვდა?!. მარინე. შვილო მარინე! მომიკვდი... (აიღებს მკვდარ მარინეს და გულში იხუტებს) შვილო მარინე, მარინე შენი ჭირიმე, ვაიმე. ვაიმე, ვაიმე.

**გრიგოლ საქარიქედელი**

ფ ა რ დ ა

## ი. ნ. განცელიას

(ხაშურის სცენის ძველ მოღვაწეს)

ვინც გულ წრფელ შრომით თესლსა სთესს კეთილს
და შეუძლია მით ხალხის რგება,
თუნდ მცირეც იყოს ესე ამაგი—
ის მაინც მშრომელს არ ეკარგება.
და ჩვენც ვიგონებთ შენს პიროვნებას
და სიყმაწვილის იმ ოქროს ხანას,
როს სიტყვას მუდამ საქმედ აქცევდი,
რომ მით რგებოდი სოფელ-ქვეყანას.
გვახსოვს, ამბობდი: იქ, სადაც ბნელა.—
ლამპრის მიტანა თუ გვაინდება,—
სულ არაობას სჯობს, თუ მოხერხდა—
იქ მცირე ჭრაქის შევსძლოთ ანთება.
და მართლაც იმ დროს, როცა სიბნელით
იყო მოცული ეს ჩვენი მხარე;
ხალხს არაფერი სწამდა თეატრის...
ამ ხალხის თეატრი შენ შეაყვარე.
დღეს თუმც ცხოვრებამ ჩამოგაშორა
ყველაფერს, აქ, შენს ნაამაგარსა,
მაგრამ გვჯერა, რომ სულით ჩვენთან ხარ;
ფიქრით გონებით გვევლები გარსა'
და ჩვენც, ჩვენი მხრით, მცირე მუშაკნი
ამ ხელოვნების დიდი ტაძრის—
მიუხედავათ პარტიულ რწმენის,
მიუხედავათ სხვა-და-სხვა აზრის,—
გიგონებთ ყველა და პატივსა გცემთ
ვით საზოგადო მოღვაწეს ძველს;
გისურვებთ მარად ჯანმრთელათ ყოფნას
და ტკბილ სიცოცხლეს, მრავალსა წელსა.

**ფონ-ტეფო.**

## საქართველოს ჯარი

ას ჩვიდმეტი წლის უფლება-აყრილობის შემდეგ საქართველომ ისევე მოიპოვა თავისუფლება და თავის მიწა-წყლის ბატონ პატრონი შეიქმნა.

მერე ვინა ჰპატრონობს ამ თავისუფლებას? —

ჯარი, გვარდია, საერთოდ საქართველოს მხედრობა.

ეს არის ცოცხალი ღობე ქვეყნისა, რო მავნე სულმა არ გადმოლახოს ჩვენი მიწა-წყალი, არ შებილწოს ჩვენი სალოცავები, მამულ-დედული, დედათა ნამუსი, მამათა პატივი, ყრმათა სიცოცხლე.

თუ ვენახისთვის საჭიროა ღობე, რომ საქონელმა არ გადალახოს, ცხვრისთვის — ფარეხი, რომ ნადირმა არ დაქსაქსოს, ყანისთვის მეველე რომ არავინ წაახდინოს, ესევე ღობე-და მეველეა დამოუკიდებელ სამშობლოსთვის, ჯარია, რომ მტერმა ფეხქვეშ არ გაქელოს.

წინად საქართველოში დაშქრად გასვლა, ჯარისკაცობა საპატიო იყო, ყველას სანატრელი, საამაყო, — მართლაც რა იქნება იმაზე უმაღლესი, ჰგრძნობდე, რომ ქვეყნის დარაჯად, მეველედ მოწოდებული ხარ, მიწა-წყალი, სარწმუნოება, ენა პატიოსნება ერისა შენ გაბარია!..

და ამიტომაც ამაყობდა ქართველი მეომარი. ხოლო როცა რუსეთმა ჩვენი ძალა ჩვენის ქვეყნის დასამხობად გამოიყენა, ანუ ჩვენს შვილებს უცხო ქვეყნებში აომებდა, — ქართველმა ჯარისკაცმა სასირცხვოდ ჩასთვალა და დეზერტირობს არც თუ ისე ჰკიცხავდენ. ახლა კი სულ სხვაა: რაკი ჩვენი ქვეყნის ავ-ბედი ჩვენვე გვეუდია, ყოველი ჯარისკაცი ძველებური რაინდული სულით უნდა ამაღლდეს და ქვეყანაც აამაღლოს; დღეს არა თუ სამსახურს უნდა გაურბოდეს არამედ სამხედრო სამსახურისკენ მიიწევდეს, რადგან დღევანდელი ქართველი ჯარისკაცი სამშობლოს თავისუფლებასთან ერთად იცავს რევოლიუციას, დემოკრატიულ წყობილებას, საერთაშორისო კაცურ უფლებას...

და ვინც ამ მოვალეობას გაურბის — საზიზღარია და ამინითი-უკუნისამდე შერცხვენებული, — მას თავისუფალ სამშობლოს ველ მინდორში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, — მას დედის ძუძუ შხამადაც შერგება...

ძირს დეზერტირობა, გაუმარჯოს საქართველოს მცველ ერთგულ ჯარს...

**იოსებ იმედაშვილი**

## ორი სურათი

(ძღვნათ გრ. მაკარიძეს)

წყვდიადით მოცული ღამე... კოკისპირული წვიმა... თხრილები წყლით აივსო და ქვაფენილი დაიფარა...

მე კი მარტოკა მოვდივარ ჩქარი ნაბიჯით ბნელეთით მოსილ ქუჩაზე.

ქუჩა სავსებით ჩემს კუთვნილებას შეადგენს, რადგან გველივით მიკლაკნილ ქუჩაზე მარტოკა მივდივარ და ჩემს ფეხსაცმელის ქუსლებს ქვაფენილზე, გაორკეცებული თქარუნი გააქვს...

შორიდგან სინათლე მოჩანს...

სახლი, ელექტრონის სხივებით გაჩირაღდნებული...

სუ... სიცილ-კისკისი, როიალი და მასთან მოჰყვა ასულის სირინოზის ხმა. მე ჩემდა უნებურად შევდექი...

რაკარგია! . მშვენიერი!.. ლამაზი!.. დამტკბობი!... სიმღერა თანდათან იტაცებს ჩემს ყურადღებას. ჩემი გონება კი ფიქრებმა გაიტაცა. ამ ქვეყნად თუ ვარსებობ, ან კი სადა ვარ, აღარ ვიცი.

—ვაშა... ვაშა... და ერთსულოვანი ტაშის ხმა, გაჩირაღდნებულ დარბაზიდან მომესმა.

ტაშმა გამომარკვია და გზას გაუდექ...

ვფიქრობ: რა ბედნიერია მომღერალი ქალი, თვისი სტუმრებით. მღერის, ატარებს ტკბილად დროებას და განა გასაკვირია, რომ ის მადლიერი იყოს თავის ბედისა!..

გავსწიე წინ... ამ ფიქრები გატაცებული გამომაღვიძა რაღაც საზარელმა ხმაურობამ. ყური დაუგდე და მომესმა ზმუილი..,...

ვებერთელა სახლი... იქვე ქვის კიბე. წუმწუმა ავანთე და დავინახე: ქალი საბრალო სიცივისაგან კანკალებს. თვისი პირმშო საცოდავი! მაგრათ მკერდში ჩაუკრავს. ძონძებში გახვეულა. წვიმისაგან მთლად გალუპულა. თავი ამ კიბის ქვეშ შეუფარებია. კბილებს კბილებზე ახეთქებს და საზარელი, ნერვების ამშლელი ხმაურობა ისმის-წუმწუმის ღერს ალი გაუქრა.. ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალი ზედ შერჩა და საზარელი სურათი ბუნდოვანათ მოსჩანს.. ბოლოს წუმწუმის ღერს ნაპერწკალიც გაუქრა და სურათი წყვდიადმა მოიცვა. გაუდექ გზას.

ვფიქრობ: რა უბედურია ეს საცოდავი! ქალია თვისი პირმშოთი!.. ძაგძაგებს გულშემზარავათ, შია, სწყურია და განა გასაკვირია, რომ ის მადლიერი არ იყოს თვისი ბედისა?..

**ალო:**

# პროვინციის მუშაკი



პლატონ ბახვასძე სართანია
(1918-1919)

ქ. ზუგდიდის სცენამ 1918 წ. ოქტომბრის 24 დაკარგა საუკეთესო, ენერგიული მუშაკი. და ულალავი ხალხის შვილი, რომელიც ხალხს ემსახურებოდა ხელოვნების სახით.

პლატონი დაიბ. 1886 წ. ს. ლედგებიოში (ზუგდიდის მაზ.) ღარიბ ქოხში, თავისით შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და საკუთარივე შრომით ირჩენდა თავს. პატარაობიდანვე იყო პირდაპირი, სიმართლის მოყვარული. ყოველ მხრივ ცდილობდა რაიმე შეეტანა საკულტურო-სახალხო საქმეში. ყოველგან გაფაციცებით ეძებდა კარგს ამხანაგებს, უყვარდა მათში გართობა, რომ რაიმე ახალი გაეგონა და შეეთვისებია მათგან. პროვინციაში შეისწავლა მეწაღეობა და ამის შემდეგ სურათის გადაღებაც, სადაც გაეცნო მრავალ სასურველ ამხანაგ. 1905 წ. მონაწილეობდა პოლიტიკურ საქმეში დაბა ახალ-სენაკის ხელოსნებთან ერთად, რომლის გამო გადასახლებულ იქნა რუსეთის ჩრდილოეთ მხარეს, წელიწად ნახევარს. რუსეთიდან დაბრუნებული უფრო ენერგიულად შეუდგა პოლიტიკურ მუშაობას, ჩუმად და შეუმჩნევლად ეხმარებოდა პარტიულ ამხანაგებს ქ ზუგდიდში ხელოსნებთან იაჩეიკების მოწყობაში

წერა-კითხვას ძლივს ახერხებდა რომ აღეძრა სურვილი თეატრის სამსახურისა. ამიტომ სცენის მოყვარე ამხანაგებს თავ გამოდებით სთხოვდა სცენაზე გამოეშვათ როგორმე. რომ აქედან ხალხთან ელაპარაკნა მათს ჭირვარამზე, მათს დამჩაგვრელებზე. პლატონმა როგორც მსახიობმაც გამოიჩინა თავი: პირველი გამოსვლასათანავე დაუმტკიცა დამსწრეთ საამისო უნარი. „ბატონი და ყმაში" ლესიას როლი ისე წარმოუდგინა საზოგადოებას, რომ ყველამ შენიშნა მისი ნამდვილი ბუნებრივი ნიჭი, დიადი ხელოვნების სიყვარული, ამ დღიდან დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა, საზოგადოების წინაშე. შემდეგში უფრო ფართოდ გააცნო საზოგადოებას თავისი ნიჭიერება. მისი ერთი დანახვა სცენაზე საზოგადოებაში იწვევდა ტაშის დაკვრას და „ბრავოს" ძახილს, პეტუას როლში (ციმბირელში) დიდი აღფრთოვნება გამოიწვია ხალხში, ჯერაც-კი არავის დავიწყებია მისი მაშინდელი მოქცევა ლაპარაკი ოხუნჯობა, და დღესაც ნაღვლიანად იგონებენ განსვენებულს. ეს პატარა კაცი დიდი დანაკლისია ამხანაგთა და სცენის წინაშე, იგი ჩვენი ბუმბერაზი იყო.

აგეთივე იყო თავის პარტიის ორგანიზაციის თვის (ს. დემოკრ.) აქაც, როგორც სცენისთვის, თავგანწირულად. შევარდენივით დაქროდა და წმინდა ემსახურებოდა მას. პირველი რევოლიუციის აფეთქებისათანავე იარაღს მოჰკიდა ხელი და თავგანწირულად იცავდა რევოლუციის მიანაპოვარს. მას უყვარდა ხალხი და მათი თავისუფლება. ამიტომ თვის სიღარიბეს ივიწყებდა და მთელს თავის შრომას მათ საკეთილდღეოდ სწირავდა.

ჯერ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა პლატონი 31 წლისა იყო, როდესაც ულმობელმა სიკვდილმა სრულიად მოულოდნელად მოუღო ბოლო.

პლატონი მოშორდა წუთი სოფელს. საყვარელ სცენას და გულითად მეგობრებს... მან ვერ იგემა სიტკბო ცხოვრებისა და ხელოვნებისა.

პლატონი მოკვდა თვის ქვრივ ობოლ დის პატარა ქოხში, რომელსაც აწვდიდა ის თავის სიმწარით ნაშოვნ ლუკმა-პურს. მოკვდა პლატონი და მეორედ დაობლდა მისი უმწეო დის ქოხი. სატირალ სავალალოა მეორედ დაობლებულ ქვრივ ობლების კვნესატირილი..

მისი სცენის ამხანაგებმა შეძლების დაგვარად გაასვენეს პლატონი ქ. სასაფლაოზე ყოველივე ხარჯის დაფარვით და გვირგვინის მიძღვნით. პარტიის ამხანაგებმა მიუძღვნეს გვირგვინი და წითელი დროშით მიაცილეს სამარის კარამდე.

დაე, ნუმც გაჰქრება ჩვენს შორის პლატონის ხსოვნა, ხოლო ჩვენს ერში მისთანა შვილების გაჩენაღზრდა ხალხის საბედნიეროდ.

**მკითხველთა და ამხანაბთა საყურადღებოთ:**

ამხანაგებო! ქ. ზუგდიდის სცენის მოყვარე ამხანაგები განსვენებულ პლატონ სართანიას გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო პლატონის ხსოვნის ალსანიშნავად მოსამსახურეთა საკრებულოში მართავს წარმდოგენას „ბატონი და ყმას''. შემოსავალის ნაწილი განსვენებულის სახელზე გაეგზავნება ,,თეატრი და ცხოვრება!''-ს რედაქციის ფონდის გასაძლიერებლად, ნაწილი კი ქოხში დარჩენილ ქვრივ ობლებს გადაეცემა.

ამხანაგებო საჭიროა ყველა დავეხმაროთ რითაც კი შეგვეძლება.

**პეტრე მეუნარგია.**

## დედის მოთქმა

დედა შვილების დაზრდაზე,
ჯდა, მოსთქვამდა ხნიანი:
მე დამახსომდა აქ მდე
მისი სიტყვები გზიანი;
შვილი გავზარდე ვაჟკაცი,
შვილივ ფარსამკლავიანი,
უნდა მოჰფინონ სამშობლოს
ავი დღის ნაცვლად მზიანი.
გამაღლაღებენ მაშინა,
გავჯიქილდები ხნიანი
იყვნენ სამშობლოს ერთგულნი,
უხვი და თავაზიანი.
თავსა სწირავდენ სამშობლოს
არ მოუტანონ ზიანი;
მით ალაღებდენ მშობელსა,
თქვან რომ გავზარდე ხლმიანი.
მაშინ იქნება დედმამა
იღბლიან-დავლათიანი!
შვილი რად უნდა დედასა
შამრცხვნელი, აუგიანი;
შვილივ ბრძოლის ველს გავგზავნე.
წმინდის გიორგის ჯვრიანი;
ის დღე ნუმც გამითენდებ
ამ წუთი სოფელს მზიან,
თუ დაბ უნდება სახლშია
მათგანი სირცხვილიანი.
ნუმც გამიზდია ის შვილი,
ნუმც შევსწრებივარ ხნიანი,
ისეთი შვილის გაზდასა,
ქალი სჯობია თმიანი!...

**ვასო აფციაური**

## ჩუმი მოღვაწე



მასწავლებელი
ზაქარია მიხ. კანდელაკი

შავბნელ წარსულში, როდესაც ჩვენს ერს ნიკოლოზის-უღელი ედგა და ყოველი თავისუფალი სიტყვა ციხე კატორღით იდევნებოდა, იყვნენ ადამიანები, რომელნიც არ უშინდებოდენ ყველა ამას და აწარმოებდენ ბრძოლას მტარვალთან. ბრძოლას თავისუფალების თვის..

ბევრს ეს წამები ჯვარედ გადაექცა, ბევრიც დაიღუპა, მაგრამ ვინც გადარჩა დღეს შესაფერისათ დაფასდა და იმკის, რაც დაუთესია: ხალხი მათ იცნობს, გულდრუკს უკმევს, ხოლო ვერ ვიცნობთ და არ სჩანან ის ჩუმი მოღვაწენი, რომელნიც არა ნაკლებ შრომობდენ ხალხის და ერის კეთილ დღეობისათვის, ასეთი მუშაკთ სკოლა სამაგალითოთ გამოიყენს ნიკოლოზის ტახტის დასანგრევათ, მაგრამ ვინ იცის ეს? ვინ ხედავს. ან ვინ აფასებს? ჩვენი ვალია ასეთი ადამიანები გავაცნოთ საზოგადოებას, როგორც ღირსეული მამულისშვილნი ვინაიდან როს მებაღე იხილავს ნაყოფს თვისგან დარგულ ხისას, იგი მუყაითად მოუვლის ტურფა წალკოტს და მის ვარდ ყვავილს კვლავ ასაზრდოებს.

ზემორე მოთავსებული სურათი გახლავსთ იმ მასწავლებლისა, რომლის მამულიშვილური სამსახური ჩუმათ და მწყობრათ მიმდინარეობდა 1888 წლიდან 1901 წლამდის თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. ეს კეთილი მასწავლებელი განსაკუთრებით ყურადღებით ექცეოდა სოფლიდან ჩამოსულ მოწაფეებს, რადგან იცოდა, რომ ერის ძალა გლეხობაშია და პირველათ სიბნელიდან ესენი უნდა ვანკურვილიყვენ ის ხარბათ აწაფებდა შეგირდებს ქართულ ლიტერატურას, სამშობლოს ისტორიას და მით შეჰქონდა მათში შეგნება. ზ. კანდელაკი არ ერიდებოდა არავითარ შიშს და აცნობდა მასაც, რისაც ნება არ ქონდა. დეკაბრისტების გამოსვლა და რევოლუციებზედ მსჯელობა ხშირათ მის საუბარ საგანს შეადგენდა. წარმოიდგინეთ, 1888--90 წლებში შეგირდებთან ამგვარი მსჯელობა რას მოასწავებდა? იმას, რომ მისი მაღიარებელი იმ საშიშ დროს უაღრესი მოტრფიალე უნდა ყოფილიყო ერის და მისი თავისუფლებისა. სხვანაირათ ასეთი გრძნობების გამოაშკარება მაშინ ვერ აიხსნებოდა. ისეთ ფაქტსაც ქონდა ალაგი, როცა კანდელაკი თავგამოდებით ებრძოდა ადმინისტრაციას, რათა თბ. სახელოსნო სკოლა გადაერჩინა რუსიფიკაციისგან. ამ ბრძოლაში ზ. კანდელაკი გამოვიდა გამარჯვებული და თითქმის ყოველი საგანი სასწავლებელში ქართულ ენაზედ იქნა გაგრძელებული ასეთი საშუალებით ქართველი მოწაფენი ადვილათ ისწრებდენ საშუალო კურსის ტოლა ცოდნა შეეძინათ რომლის შედეგიც შემდეგ შესაფერისათ აღიბეჭდა მუშათა ცხოვრების ისტორიაში; გიორგი ერაძე, იოს ბ იმედაშვილი, მხატვარი მ. თოიძე პავლე წულაია, დათიკო ხარტიშვილი ასეთი საქმიანობის ნაყოფია: თითქმის ყველა მისი ნაშეგი დალი დღეს მოწინავე მუშათ ითვლება. ამჟამათ კანდელაკი მასწავლებლობს კომერციულ სასწავლებელში და მისი საქმიანობა ისრევე ჩუმათ მიმდინარეობს სამშობლოს საკეთილდღეოთ ვუსურვოთ კეთილ მასწავლებელს დღეგრძელობა და გამარჯვება...

მუშა მიხა დევაძე

## ავჭალის სახალხო სახლი

ვინ არ იცის რა დიდი ღვაწლი მიუძღვის სახალხო სახლებს ჩვენში და კერძოთ ავჭალის აუდიტორიას, ეს ის აკვანია რომელშიაც გამოიზარდნენ ჩვენი სახალხო სცენის დამამშვენებელნი. ავჭალის აუდიტორია მარტო კულტურულ საზრდოს არ იძლეოდა, იმ ,,სანეტარო'' დროს პოლიტიკურ დევნილთა თავშესაფარსაც წარმოადგენდა, სადაც რეპეტიციის სახით წყდებოდა ხალხის სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვები. ავჭალის სახალხო სახლმა მოგვცა ნ. გოცირიძე, გ. ჯაბაური, მ. თუშმალიშვილი და სხ.

სისხლის წვიმების დროს ავჭალის აუდიტორია ვერ იყო შესაფერად მოწყობილი, მაგრამ როცა დემოკრატიამ გაიმარჯვა, ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ ხალხი დააფასებდა თავის აკვანს და ის მთავრობის წევრნი, რომლებიც აქ აღზდილან, მოიგონებდენ აღმზდელს. სამწუხაროდ ჩვენი იმედები დაიმსხვრენ ცხრა მთას იქით და ავჭალის აუდიტორია დღესაც მოწყენილად გამოიყურება, თითქოს თავის აღზდილებს წყევლაკრულვას უთვლისო. ჩვენი საზოგადოება მარტო სახელმწიფო თეატრზე ფიქრობს, კლუბებზე და ის კი დავიწყნია, რომ მუშებისთვის იქ სიარული მიუწდომელია, მუშები ითხოვენ, რომ მათი საყდარი გაფართოვდეს, რომ მას ყურადღება მიაქციონ.

წელს ეს შენობა აუღია კუკიის მცირეკოლექტივს და მოუწვევია მუშა-მსახიობი ევტროფი თალაკვაძე. უკანასკნელს იცნობს ჩვენი საზოგადოება და იმედი აქვს. რომ ის პირნათლად შეასრულებს თავის საქმეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ავჭალის აუდიტორიას ესაჭიროება გაფართოება, შეკეთება. პატარა შენობა აღარ ყოფნის ხალხს, სცენაზედაც აღარ ეტევა თავისუფალ ხელოვნების შემოქმედება. საჭიროა რევოლიუციის აკვანი გადიდეს და გაფართოვდე', ამას ითხოვს ხალხი.

შალვა გომართელი

**Ტ. ქ.** იმედი გვაქვს ჩვენი გულუხვი ქველმოქმედნი ამ საქმეშიც გამოიჩენენ კულტურისადმი სიყვარულს და შეიტანენ თავის წვლილს..

შ. გ.

## სხვა და სხვა ამბები

**სახელმწიფო თეატრის** ანტრეპრიზა აილო ევლახიშვილმა, მოიწვია შემდეგი ქართველი მომღერალნი, კალანდაძე აგასოვისა, ს. ბახუტაშვილი,-შულგინისა, ბ-ნი ი. სარაჯიშვილი, ა. ქუმბურიძე, ი. ინაშვილი. თარხნიშვილი, ქურხული, იმერლიშვილი სეზონი დაიწყო 4 ღვინობ. ოპერა ,,აბესალომ და ეთერი-''თ.

**ქართულ სამუსიკო** საზოგადოებასთან დაარსდა საოპერო სტუდია ასტოლერმანის ხელმძღვანელობით, რომლის სეზონი დაიწყება გიორგობისთვეს 1 სახალხო სახლში.

**,,კაპელა-''მ** დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით დაიარა დასავლეთ საქართველოს ყველა დაბა ქალაქები და გამართა ეროვნული კონცერტები. ეწვიენ ფრონტსაც. საზოგადოება აღტაცებით ეგებებოდა. ეხლა კახეთისკენ აპირობს გამგზავრებას, დაწვრ. შემდეგ.

**დრამ,, მსახიობს** შაქრო საფაროვს შეუსრულდა ოცდახუთმეტი წელიწადი სასცენო მოღვაწეობისა. პატივი მცემელნი აპირობენ აღნიშნონ ეს დღე.

**კოოპერ ტივთა კავშირი** დიდი დახმარებას უწევს ჩვენს ხელოვნება : დაარსა სამ. ხაზ. ერთად ,,კაპელა, საოპერო და დრამატიული სტუდია უკანასკნელი გ. ჯაბადრის ხელმძღვანელობით.

**.რ. გოგნიაშვილის** ახალა ქართული ოპერა ,,ჯადოსანი'' დაიდგმის არტისტ. ხაზ. თეატრში, ოპერის სიუჟეტი ლეგენდარულია. კომპოზიტორი გაპირვებას.

3. **დოლიძის** კომიკური ოპერა: , ქეთო და კოტე ( ., ხანუმა''-დან დაიდგმის წრევანდელ სეზო-ნში.

**კომპოზ. ნ. სულხ:ნიშვილი** მოიწვიეს ,,კაპელას დირექტორად.

**ახალ გაგრაში** კაპელას'' კონცერტი იმდენად მოეწონა ხალხს განსაკუთრებით შამილისს ლოცვა ცეკვით, რომ ერთმა ჯარისკაცმა დარბაზიდან აღტაცებით მიმართა კონცერტის მონაწილეთ: თქვენი ხელოვნება გვიჩვენებს, აფხაზები და ქართლელები განუყრელი ძმები ვყოფილვართ და ვიქნებით. თქვენ ხელოვნებით აღაგზნეთ ჩვენი გული მთლიან საქართველოს შესაქმნელად ჩვენი ძმობა-ერთობის დასაცველად, ჩვენ კი მას საკუთარ:ს მკერდით და ხმლით დავიცავთო.''

**აშული ჰაზირა** ცნობილ მექიანურე სამხონი ვონაწილეობით ადგენს საზანდართა დასტას, რომელიც ამ მოკლე ხანში რუსეთს გაემგზავრა აღმოსავლეთის კონცერტების გასამართვად აკაკისა გა საიათნოვას თხოვნის პატივსაცემად.

**გ ხეჩუაშვილის პიესები:** 1, დუქანში, სურათი მიკიტნების ცხოვრებიდან. 15 გვ ფ 4 მ. და 2-მუშა მგოსანი'' დრ 3 სურ 32 გვ ფ 6 მ. გამოვიდა. ორივე პიესა მდაბიურადაა დაწერილი სასცენოა და სახალხო თეატრთა შესადარი. პირველი 1904წ დაბეჭდილი იყო მოამბე-ში, მეორე 1917წ. ,,თეატრი და ცხოვრება-ში

**ახალი წიგნე"ი** ზ. ჭიჭინაძისა. 1 ისტორია ფარულ სზოგადოებისა დამაარსებელთა ბიოგრაფიით ფილადელფოს კიკნაძე,-ფ 2მ. 2 სოლ დოდაშვილი და ნ ბარათაშვილი ფარულ საზოგადოების წინაშე და ნ. ბარათაშვილის პოეზიის იდეის აღორძინება ქართულ მწერლობაში''. ფ 2 მაგსმოეიდა.

**სოხუმის ქართული ეროვნული საბჭო** ამ, ერთი წლის წინად დაარსებული, ბეჯითად მუშაობს, პარტიულობის გარეშე. დააფუძნა ქართული გიმნაზია, სტიპენდიები საშუალო—უმაღლეს სასწავლებლებში, ს. აჯარაში (სვანეთ-აფხაზეთის საზღვარზე) დაიწყო ქართული სკოლის აგება (ჯდება 60,000 მნ. ჯარისათვის დაარსა საკვირაო სკოლა და სახალხო უნივერსიტეტი, შექმნა ქართული დასი მოწვეული ჰყავს ქართ. დასის მსახიობნიც ფიქრობს გამოსცეს ქართული უპარტიო გაზეთი,-დენიკინთან შეტაკების ჩვენს ჯარსა და გვარდიას 150000 მნ. დახმარება აღმოუჩინა ტანისამოს სანოვაგით და სხ. საბჭოში ყველა პარტიის წარმომდგენელთა არიან, მუშაობენ შეთანხმებით.

**თეატრი და ცხოვრება** გერ. მათითაიშვილმა ნახევარი წლით გაუწერა ხიდისთავის ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციას.

**კავროთოთავა,** ლექსთა კრებული გიორგი საგანელისა (გ. კვაცხუთელისა), ცალკე წიგნად გამოვიდა. დაბეჭდილია საუცხოო ქაღალდზე, აწყობილია ორგინალურად, ლამაზად. შეიცას 32 გვ. შვენიერის კანით და ღირს 20 მან.—

**სოფ. გლახაშვილის თხზულებანი,** ტომი 1, საუცხოო ქაღალდზეა დაბეჭდილი. შეიცავს ვეფ გვ., დიდი ზომისაა და ღირს 50 მან. წიგნში მინიატურებს გარდა დაბეჭდილია ექვსი პიესა:,, მტარვალის ბედი'' ,,ცხოვრება'', ,,დალი'',,წყურვილი'', ,,ზორვად'' და ახალი პიესა ,,ცისკარა.''

**ჩინჩხალი,** პატარპატარა ლექსები და მოთხრობები დონ-ლანისა [დ. ნ. ლოლობერიძესი], წიგნაკი მეექვსე, შეიცავ 32 გვ. დაბეჭდილია ლამაზად და ღირს 5 მ.

**საკულტურო მუშაობა ჯარში**—ჯარისკაცთა უნივერსიტეტი, სკოლა სამკითხველო ალ. გორგაძისა. მივიღეთ.

**ირ. ბოხუას** ვოდ. „გაუმარჯოს საქართველოს'' გამოვიდა ფ. 5 მ.

**ვასო აბაშიძეს** მთავრობამ გადაუწყვიტა ყოველ თვიურად ეძლიოს 1500 მან.

**დ. კასრაძემ** დასწერა ახალი ისტორიული რომანი ,.ღმერთების მფარველობის ქვეშ'', საქართველოში რომაელთა შემოსევის ხანიდან. რომანში მხატვრულად დასურათებულია ჩვენი წარმართ წინაპრების ჩვეულებანი და რომაელთ მფლობელობა.

**ქუთაისის** დასის რეჟისორად მიიწვიეს ალ. იმედაშვილი, თეატრის დირექტორა—გ. იორდანაშვილი.

**სოხუმის** ქართ. რეჟისორად მიიწვიეს ვანო ბარველი. აქვეა მიწვეული მსახიობ-ქალი ნ. ჯავახიშვილი.

**დრამატურგმა ნ. შიუკაშვილმა** დასწერა ახალი ტრაგედია ,,როსტევანი'' ისტორიული ლეგენად 5 მოქ. ლექსად, ამ პიესის დადგმის უფლება შეიძინა კოოპერატივთა კავშირმა. განზრახულია 5000 მან. ხოლო ყოველ წარმოდგენიდან 10-15 პროცენ. ამ პიესით დაიწყება სტუდიის სეზონი. პიესას მეტად მომხიბლავს ამბობენ შინაარსით და ფორმით.

### შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა

,,თეატრი და ცხოვრების'' სასარგებლოდ

| | |
|---|---|
| ლადი პერ-სგან | 100 მ. |
| ეკატერინე ისიდ. კოლიაშვილისგან | 100 მ. |

### ს ა ც ე კ ვ ა ვ ო ს კ ო ლ ა

ალექსიძესი



ცნობილი მოცეკვავე ალექსიძე

ვასწავლი ყოველგვარ ეროვნულ ცეკვას: ქართულს, ლეკურს, ნარუულს, ქისტურს, დაღისტნურ ლეკურს (ლოცვა შამილისა ხან ჯლებით), უზუნდარას რანგის, თარაქამას და სხვა. გაკვეთილები: ო რ შ ა ბ ა თ ს და ხ უ თ შ ა ფ ა თ ს. 3-6 საათამდე კვირით 11-2 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროს. № 136, ევროპიული საცეკვაო სკოლა ინოჩენცისა.

რედაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილ